140
1957/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჟურნალი

№ 3
მარტი
1957

პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკ
ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

3

მარტი
1957

შინაარსი

	გვ.
ო. იოსელიანი — ბაბუა ყარამანი (მოთხრობა)	
ვ. ჯავახაძე — გაზაფხულის მისალოცი (ლექსი)	5
ა. გეწაძე — მარტს აპრილი დაეჭიდა (ლექსი)	5
ლ. გაგლოევა — ფესტივალის შესახვედრად (ნარკვევი)	6
ი. სოტნიკი — თეთრი ვირთხა (მოთხრობა, თარგმნა ვ. ძიძიგურმა)	9
პიონერული ამბები	15
ლ. თაბუკაშვილი — ნორჩ მხატვართა რესპუბლიკური გამოფენა (წერილი)	16
გ. ჭეიშვილი — ზურგსუკან (მოთხრობა)	18
ტექნიკის სამყაროში	20
ა. გაჩეჩილაძე — ტელევიზორი (წერილი)	21
სიტყვის მატიანე	23
ჭადრაკი (ოქტომბრის რევოლუციის ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი საჭადრაკო კონკურსი)	22
ალ. სანადირაძე — აფხაზური ზღაპრები (წერილი)	25
ლესინგი — იგავები (თარგმნა ა. კარანაძემ)	25
თ. სახაროვი — საჩუქარი ავსტრალიიდან (ფოტონარკვევი)	26
ხელმარჯვეთა დასახმარებლად (ქარის ძრავას მოდელი)	28
ვ. ბიანკი — ბუ (ზღაპარი, თარგმნა შ. თაბუკაშვილმა)	30
მოკლედ ყველაფერზე	31
იუმორი	32
გასართობი	
გარეკანის	3

გარეკანის პირველ გვერდზე — „გაზაფხული“ — ნახატი **ალ. ბანძელაძისა.** გარეკანის მეორე გვერდზე — „სოფელი შატილი“ — ნახატი **ვ. ჯაფარიძისა.** გარეკანის მეოთხე გვერდზე ნახატი-ხუმრობა **ა. კანდელაკისა,** თემა **კ. გოგიაშვილისა.**

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **ალ. ბანძელაძის, რ. ცუცქირიძის, გ. გელოვანის, გრ. ჩირინაშვილის, კ. მახარაძის** და **გ. დიკის** მიერ.

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**

რედკოლეგია: **რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედაქტორი), **ვ. ჭელიძე.**

გამოცემის წელი
XXXI

საგლეტგამი

7-290

ოჯია იოსელიანი

ნახ. ალ. ბანძელაძისა

ბაბუა ყარამანი

გაგიხარიათ მე თქვენი შეხვედრა მახარებდეს!

თქვენი ხათრით, თუ სინდისი მაქვს, თქვენი ხათრით, თორემ რა დამრჩენია ამ კედლებში!

ახალიაო?!

დიდიაო?!

ნათელიაო?!

მერე მე რა! რამდენი სახლია ამ ქვეყნად დიდი და ნათელი! რამდენი ახალი შენობა ააგეს, მაგრამ მე მაინც აქ ვიტეხავ ფეხს!

თქვენ როგორ გგონიათ.... დარაჯი ვარ, სკოლის დარაჯი.

ჰოდა, თქვენც უნდა გამიგოთ, უნდა მიმიხვდეთ, რომ თქვენი ხათრი და სიყვარული ამდენად მაქვს, თორემ მეწყინება, თქვენს თავს ვფიცავ, ძალიან მეწყინება!

ჩემი წყენა კი...

არ შეგფერით ამ ხნის კაცის წყენა. მე რომ არაფერი, ხალხი რას იტყვის, ნაცნობ-მეგობრებს რა პასუხს მისცემთ! ქვეყანაზე მოგეჭრებათ თავი!

ის კი არ იფიქროთ, რომ ყველას გემდუროდეთ! არა, აჰ! ვინ მყავს თქვენი ფასი, მაგრამ აგერ ერთ ბიჭზე მოვყევი — დათოზე.

ვხედავ ერთ დღეს დაიგვიანა.

არ მესიამოვნა, მაგრამ არაფერი მითქვამს. რა ვუყოთ, მოხდა ალბათ შემთხვევა-მეთქი, ვიფიქრე.

გავიხედე, სამი დღის შემდეგ, აგერ არ ამოდის ჩვენი დათო! და მერე როდის, საცაა აგერ შესვენების ზარს დავრეკავ.

— ჰმ! — შევიკვირვე მე, — ეს კი არ მომწონს!

— რა ვუყოთ, ბაბუა ყარამან! ხანდახან უარესიც ხდება.

— რას ჰქვია, ბიჭო, უარესი! — ხმამაღლა ვთქვი მე. — მოწაფის კლასში დაგვიანებაზე უარესი გაგონილა?!

— ჩუ, ბაბუა ყარამან, დირექტორმა არ გაიგონოს! —შემეხვეწა იგი.

— ჰოდა, ახლა შეგინახავ ნამუსს,—ხმას დავუწიე მეც, — მარა მომავალში რომ დაიგვიანო...

— მომავალში... ვნახოთ, — დამიქნია თავი.

ეს დაპირება მაშინვე არ მესიამოვნა, მაგრამ რას ვიფიქრებდი ამ დროულ კაცს გამაცუცურაკებდა.

მეორე დღეს განგებ თვალ-ყურს ვადევნებ. იმ კლასში, სადაც დათო უნდა იჯდეს, ორჯერ შევიტანე შეშა, აქანდაზი განგებ დავტოვე და მერე, გამოსატანად რომ შევედი, დიდხანს გაჩაღებულ ღუმელს ვუჩხიკინე.

გავალ დერეფანში, ჩავივლი კიბეს, გავხედავ ჭიშკარს, მოვათვალიერებ ეზოს, შემოვუვლი სკოლის შენობას... გაგიგონია, სად ჩანს!

დადგა გაკვეთილი. გავიდა ხუთი წუთი... ათი... თხუთმეტი... ოცს უახლოვდება და... მესმის ფეხის ხმა. შევტრიალდი უცებ. არ მინდა სახეში შევხედო, ასე მგონია სირცხვილით დაიწვება ბიჭი.

— დილამშვიდობისა, ბაბუ! — მომესმა, მაგრამ როგორ ვიფიქრებ, თუ მე მესალმება, ჩემთან რა საასალმო პირი აქვს ამ ყმაწვილს.

— რაო, ბაბუა ყარამან, ხომ არ მემდური, ზურგი რომ შემაქციე?!

— აი, თვალებს დაგიკოცნი, შენმა მზემ! — მივუტრიალდი გაბრაზებული. — ესაა შენი სიტყვა?!

— შენ რა, სკოლის დირექტორად ხომ არ დაგნიშნეს?!

დირექტორზე ნაკლები პატივისცემით არც ერთი მოსწავლე არ მექცევა და, ეს ახლა ისე მეწყინა, რომ ვეღარაფერი ვთქვი. ვთქვი კი არა, პირი ისე გამიშრა, ნერწყვი ძლივს გადავყლაპე.

მე ვარ ეს ყარამანი, ამდენი ხანია სკოლას რომ ვემსახურები?! ამიტომ გიყვარდა, ყარამან, შენი საქმე, რომ ახლა ამ ჭინკამ არაფრად ჩაგაგდოს?!

გადის დღეები და დათომაც უმატა დაგვიანებას.

ვხედავ, გაკვეთილების შემდეგ ბავშვები სადღაც ფაცი-ფუცით გარბიან.

— საით, მალხაზებო? — ვეკითხები.

— ნაკვეთში, ბაბუა ყარამან. ნორჩ ნატურალისტთა წრე ხომ იცი?

— იმე, ვიცი აბა.

— ჰოდა, წრის მუშაობაა.

— კეთილი, კეთილი. — და ეზოში გავდივარ. ვხედავ დათო შინ მიდის.

ორიოდე დღის შემდეგ ბურთის თამაშია. დათო ახლაც შინ მიდის.

ერთი კვირის შემდეგ რაღაც რადიოს ჩაკირკიტებენ — დათო არსად ჩანს.

— ბაბუაშვილობას, დათო სადაა?

— დათო? დათო სახლშია, ბაბუ.

— კი, მარა არ ისურვა თქვენს წრეში?

— როგორ არა, მაგრამ სწავლაში ჩამორჩა... აგვიანებს, აცდენს. ასეთი ხალხი კი წრეში არ დაიშვება. ვინც ძირითად საგნებს არ ამზადებს, წრისათვის რას გააკეთებს?!

— ეჰ, წამხდარა იმ ბიჭის საქმე! — გავიფიქრე მწარედ ნაწყენმა.

სამასწავლებლოში შევედი და — კლასის დამრიგებელს დანა კბილს არ უხსნის, ისეა კრიჭაშეკრული.

— რა ეშველება, რა მოვუხერხოთ! — შემომჩივლა მე.

— ურჩიეთ, შვილო, აუხსენით. ასე რავა ვარგა კაციშვილი.

— ერთჯერ, ბიძია ყარამან?! რა არ ვცადე: გავუჯავრდი, მოვეფერე, მშობელი მოვიწვიე, დირექტორთან მივიყვანე.

— კი, მაგრამ... იქნებ ამხანაგებმა გააწყონ რამე...

— პიონერულ შეკრებაზე გაიტანეს საკითხი, მაინც არაფერი ეშველა.

შემოვიდა დირექტორი. არაფერი უთქვამს, მაგრამ იმ წამსვე მივხვდი ჩემზე ნაკლებად არც ის იყო შეწუხებული.

— რა გაეწყობა! — ხელი ჩავიქნიე მე და გარეთ გამოვედი. მაგრამ იქვე ჩემთვის განვაგრძე: დავიჯერო, არაფერი მოეხერხება ამ ბიჭს?!

დავფიქრდი, ვიფიქრე, ვიფიქრე და...

ერთ დღეს, როცა შორიდან შევნიშნე დაგვიანებით მომავალი, ძირს ჩავირბინე, ფარდულიდან დაჭრილი შეშა გამოვიტანე და კიბის მეოთხე საფეხურზე დავყარე. მეც იქვე ჩამოვჯექი და თავზე ორივე ხელი შემოვიდგი.

— გამარჯობა, ბაბუა ყარამან!

— გაგიმარჯოს, შვილო, გაგიმარჯოს! — ამოვიკვნესე და წელზე ხელი ვიტაცე. — ვკვდები ბაბუა, ვკვდები!

— რა მოგივიდა, რა იყო! — ჩანთა კიბეზე მიაგდო და უცებ მე მეცა.

— რაღა რა მომივიდა, შვილო, ამ ხნის კაცის შეშის ხერხვა და ამოდენა კიბეებზე ბორძიკი გაგონილა!

— მერე და, რატომ არ დაისვენებ!...

— დავისვენო?... რომ დავისვენო, ვინა მყავს პატრონი, ვინ შემინახავს!

მართლა ნუ გამიჭირდეს თორემ, მე რომ შემნახავი მყავს — იმისთანა უნდა! ისეთი ექვსი შვილის მამა ვარ, ჩემს თავს რომ ხელიდან გლეჯენ ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის მისალოცი

ვახტანგ ჯავახაძე



— მალხაზ, კარი გამოაღე!...
— ლალი, გამო_გარეთა!...
ჩქარა, ჩქარა, რა ხანია
გელოდებით კარებთან.
ალისფერი, ლალისფერი
თავს დამნათის ცისკარი
და იების დასაკრეფად
ჭალებისკენ ვიჩქარი...
აქ ბუნების ნაზი ხელი
თავის საქმეს აკეთებს.
— მალხაზ, მიწას დააკვირდი!..
— ლალი, ზეცას ახედე...
მეზობლებიც გააღვიძეთ
გადასძახეთ იმათაც,
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა,
მზის ნათელმა იმატა.
ველმინდორი მოიჩითა
ხოხბისფერი მოვითა...
გაზაფხული, გაზაფხული,
გაზაფხული მოვიდა.



მარტს აპრილი დაეჭიდა

მიწა ზანტად იზმორება,
უკვე მოლბა მკაცრი ველი.
ჩიტებმა და ჩიორებმა
ხეზე გასკვნეს საძირკველი.

მარტს აპრილი დაეჭიდა,
დასცა მთათა კარის წინა.
რილო-ჭრილოს ფანჯრებიდან
გაზაფხულმა გაიცინა.

აკაკი გენაძე
ნახ. კ. მახარაძისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესტივალის შესახვედრად

მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალი წელს მეექვსედ ტარდება, და ტარდება ;რა რომელიმე სხვა ქვეყანაში, როგორც ეს წინა წლებში იყო, არამედ მოსკოვში, საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში. ავგისტოსათვის მოსკოვში თავს მოიყრიან მსოფლიო ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები: მომღერლები და მოცეკვავენი, სპორტსმენები და მხატვრები, მშვიდობისათვის ბრძოლ;ში სახელგანთქმული ჭაბუკები და ქალიშვილები, წარმოების მოწინავენი... ჩამოვლენ მოსკოვს, შეიკრიბებიან, რომ ერთმანეთს მოუთხრონ თავიანთი ქვეყნების ახალგაზრდობის შესახებ. ასევე მოიქცევიან საბჭოთა ახალგაზრდები — მასპინძლები და იმავ დროს მონაწილენი ფესტივ;ლისა.

დიდი ზეიმი იქნება იმ დღეებში მოსკოვში. უჩვეულოდ მორთულ ქუჩებში, პარკებსა თუ მოედნებზე გაიმართება ახალგაზრდობის შეხვედრები და კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები და მეგობრული გასეირნებები... მნიშვნელობა არ ექნება არც ენის სხვადასხვაობას, არც კანის ფერს, არც რელიგიურ რწმენას. უცხოელი მეგობრები ისე იცხოვრებენ, მოსკოვში, როგორც შეიძლებ; იცხოვრო გულწრფელ მეგობართა შორის. ეს იქნება ახალგაზრდობის, მშვიდობისა და მეგობრობის დიადი ზეიმი.

მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალს რომ კარგად მომზადებული შევხვდეთ, ფესტივალები ტარდება ყველგან — ქალაქებსა და სოფლებში, რაიონულ ცენტრებში, ოლქებში, რესპუბლიკებში.

საქართველოში რესპუბლიკური ფესტივალი ჩატარდება მაისში.

აი, რას გვიამბობს საქართველოს ახალგაზრდობის ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა:

„როგორც ზეიმს შეშვენის, სადღესასწაულოდ მოიკაზმება ჩვენი დედაქალაქი — თბილისი. მთელი გზა, სადგურიდან ლენინის მოედნამდე ყვავილების კაბას ჩაიცვამს. მთაწმინდაზე აგიზგიზდება უზარმაზარი კოცონი. მართალია, იგი ხელოვნური იქნება, მაგრამ შორიდან ნამდვილს ემგვანება. კოცონები აინთება მოედნებზე, მტკვ;რზე მოგზაურობა მოეწყობა. საზეიმო ელფერს მიიღებს თბილისის ცაც — ჰაეროსტატები მაღლა აიტაცებენ უზარმაზარ დროშებს, პლაკატებს, პროუექტორების სხივები ნაირფერად დასერავენ ზეცას...“

ფესტივალის;თვის მზადების ამ ცხარე დღეებში არც პიონერები სხედან გულხელდაკრეფილი: აშენებენ ყვავილებს და ზრდიან მტრედებს, წნავენ პაწაწინა კალათებს და თლიან სალამურებს, რომ საჩუქრად გაუგზავნონ მსოფლიო ფესტივალზე თავმოყრილ ძვირფას სტუმრებს. ;მავე დროს თვითონვე ემზადებიან ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად.

ქვემოთ გიამბობთ ბესლეთელ პიონერთა ფესტივალისათვის მზადებაზე.

* * *

ბესლეთი სოფელია სოხუმის მახლობლად. მთის კალთაზე შეფენილი კოპწია სახლები, წინ გადაშლილი ბალებითა და ვენახებით, ისე ლამაზად მოჩანს ყოველი მხრიდან, დაბურულ კალაპოტში ისე ტკბილად მიდუდუნებს მდინარე ბესლეთი, ჩახჩახა ლამპიონები ისე ამშვენებენ სოფლის შარაგზას, რომ უნებლიედ ინატრებ — ნეტავ ამ სოფელში მაცხოვრა.

— ხომ ლამაზია ეს ჩვენი სოფელი, მაგრამ მას უფრო მეტად გავალამაზებთ და გავახალისებთ ფესტივალის დღეებისათვის. წამოდით, ყველაფერს რიგ-რიგობით გაჩვენებთ, გიამბობთ, — გვითხრა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ლენა ბერულავამ და პიონერთა ოთახისაკენ გაგვიძღვა.

შორიდანვე მოგვესმა ზარივით წკრიალა ხმა, შემდეგ

მას სხვა ხმებიც აჰყვნენ და ახლა ახალგაზრდული, ძლიერი სიმღერა გუგუნებს ირგვლივ. — ეს ჩვენი სკოლის გუნდია, — გვითხრა ხელმძღვანელმა. უხარია, რომ ასე კარგები არიან მისი სკოლის მოსწავლეები — ბეჯითები, მხიარულები, ზრდილნი და თავაზიანნი.

გუნდი დგას როგორც გუნდს შეჰფერის. ერთ მხარეს პირველი ხმებია, იქით — მეორე, უკან — ბანი... ლოტბარობს გოგონა — მეათეკლასელი ტანია ბერულავა. მისი ხელის ყოველ მოძრაობას კითხულობენ მომღერლები, თვალებში შეჰყურებენ ხელმძღვანელსა და მეგობარს. აკი ამიტომაც გამოდის მათი სიმღერა ასე შეხმატკბილებული.

სიმღერას ცეკვა სცვლის. სრულდება აფხაზური, სვანური, აჭარული მასიური ცეკვები, ლელო, ფერხული... მერე და რამდენი სიმღერა უსწავლიათ დალოცვილებს! საკუთარი წარმატებით წახალისებულთ ლოყები ასწითლებიათ.

იმღერეთ, იცეკვეთ მეგობრებო, წინ კიდევ უფრო მხიარული და ნათელი დღეები მოგელით.

* * *

ვარდობის თვეს ტარდება ჩვენს რესპუბლიკაში ფესტივალი და ხომ უნდა იყოს ამ დროისათვის ბევრი, ბევრზე ბევრი ვარდი და იასამანი, გეორგინა, შროშანა, გვირილა... ბესლეთელმა პიონერებმა იციან ეს ამბავი და სწორედ იმიტომ დაფაცურდნენ ჯერ კიდევ იანვარში.

თავიანთ შეფებს — სოხუმის ბოტანიკური ბაღის მუშაკებს ეწვივნენ: სკოლის ეზოში ყვავილები გვინდა გავაშენოთ და დაგვეხმარეთო.

დიდი სიამოვნებითო, უთხრეს შეფებმა, მეორე დღესვე ჩავიდნენ ბესლეთს და პიონერებთან ერთად სკოლის ეზოს ერთი მონაკვეთი შემოხაზეს — სწორედ ის ფერდობი, ჭიშკრიდან სკოლის შენობამდე რომ მიემართება.

ყვავილებისათვის გამოყოფილი ნაკვეთი დაბარეს, დაგეგმეს, დათესეს. ახლა მათს აღმოცენებასა და აყვავებას ელიან პიონერები.

— შეფებმა თქვეს ძალიან ლამაზი და გამძლე ყვავილებიაო.

— ნეტავ მატარებლით შორს გამგზავრებას თუ აიტანენ?

— ნეტავ რა ფერებისანი არიან, რა სურნელების?

— ქოთნებშიც თუ იხარებენ ნეტავ! — დღენიადაგ ამაზე საუბრობენ ბესლეთელი ნორჩი მეყვავილეები: ნანული კალანდია, აკაკი ბერულავა, სევერიან შამუგია და სხვა მათი მეგობრები. შეფებმა ეს კითხვები გაუხ-

ბესლეთელი ნორჩი მეყვავილენი თავიანთი ყვავილნარის მოსავლელად მიეშურებიან.

სნელი დატოვეს. მოიცადეთ და გაიგებთო, უთხრეს მათ პატარა მეგობრებს.

* * *

— გული-გული, გული-გული... — ეძახდა ბორისი სახლის სახურავზე შემომსხდარ მტრედებს. მის ძახილზე ქათმები შეგროვდნენ, მიხვდნენ, რომ იგი მტრედების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამასპინძლებას აპირებდა და გადაწყვიტეს: მივიდეთ, იქნებ ჩვენც გვერგოს რამეო.

ქათმები მოგროვდნენ, მტრედები კი არ ჩამოვიდნენ. სახურავზე გოგმანს უმატეს, ღულუნსაც უმატეს, მაგრამ მიწაზე ფეხიც არ ჩამოაკარეს.

— აქშა, ქათმებო, ქშაა! — იძახდა ქათმებზე გაგულისებული ბორისი. — მე თქვენ როდის გეძახით!

ქათმები გაფანტა და ისევ ძახილს მოჰყვა, მაგრამ ამაოდ. თითქოს ჯიბრზე არიანო, მტრედები სამტრედეში შებრძანდნენ დინჯად და აუჩქარებლად.

— სულ ამ ქათმების ბრალია, თორემ ჩემს დაძახებაზე ყოველთვის მოდიან, — თავს ისე იმართლებდა ბორისი, თითქოს ვინმე ადანაშაულებდა. ამ მტრედებს ფესტივალის დღეებში ააფრენს ბორისი სოხუმში.

— მაშინ იქ ალბათ ბევრი მტრედი იქნება, ძალიან ბევრი. ჩემმა მტრედებმაც რომ მათთან ერთად იფრინონ ცაში, ხომ კარგი იქნება?! თუ ჩვენი სოფლიდან ვინმე წავა თბილისში, რესპუბლიკურ ფესტივალზე, იმათაც გავატან მტრედებს, თუ მოსკოვში წავლენ იქაც გავატან. — ამბობს ბორის ბერულავა და ისე გაჰყურებს სივრცეს, თითქოს მოსკოვის ცაზე აფრენილი მტრედების გუნდს შეჰხარისო.

* * *

ტყისპირზე ბიჭები ჩამომსხდარან, გვერდით წნელები მოუწყვიათ და გამალებით საქმობენ, პაწაწინა კალათებს წნავენ. ზურაბ ადამია, ნოდარ ორმოცაძე, ბორის ბერულავა და ელგუჯა ლომმიძე ერთმანეთს ეჯიბრებიან, — აბა ვნახოთ, ვისი კალათი მოიპოვებს ფესტივალზე გაგზავნის უფლებასო.

საქართველოს პიონერები ხომ საჩუქრებს ამზადებენ მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალის მონაწილეებისათვის. ჰოდა, ბესლეთელებიც ამზადებენ. აი სწორედ ამ საქმეში შეეჯიბრნენ ბიჭები ერთმანეთს.

თინა ტაბატაძე სალამურების დამზადებას შესდგომია.

დები მერი, ლამარა და ემა ფაცაციები ფესტივალისათვის სიმღერას სწავლობენ.

უჭირავს დანა, დადის ბუჩქებში და სალამურისათვის გამოსადეგ ტოტებს დაეძებს.

დალი მაჭარაშვილი და ლალი გვალია ნემსსა და ძაფს შესჩვევიან, დაე ნახონ მოსკოვში, როგორ კაბებს ატარებდნენ უწინ ქართველი ქალები. ჩოხა-ახალუხის შეკერვასაც ცდილობენ გოგონები.

ვნახოთ, მეგობრებო, იქნებ მართლაც რუმინეთში, ან ჩინეთში, ანდა უფრო შორს წავიდეს თქვენი ნაკერი ნაციონალური ტანსაცმელი. აქედანვე გისურვებთ წარმატებას.

* * *

მთელი რაზმეული ამზადებს ფოტოსურათების ალბომს. ამ ალბომში ერთიმეორეს მიჰყვება საქართველოს ულამაზესი ტბის — რიწისა და ბორჯომის შესანიშნავი ხეობის ხედები, შავი ზღვის შესანიშნავი სანაპიროები, საქართველოს სამხედრო გზა, პურის ყანების ზღვად ქცეული შირაქი და ცხვრის ფარებით გადათეთრებული ელდარი, ვენახებით მდიდარი კახეთი და ხეხილის ბაღებით აქოჩრილი ქართლი, თოვლის ქუჩაში გახვეული ბაკურიანი და მწვანეში ჩაფლული ბახმარო..

ყოველ სურათს თავისი წარწერა ექნება, ისეთი, რომ ალბომის მხახველმა წარმოიდგინოს რა ლამაზია, რა ტურფა და მდიდარი ჩვენი საქართველო.

ამ ალბომის შედგენა რაზმეულმა სევერიან შამუგიას, ლამარა კვარაცხელიას, ზურაბ ადამიასა და სვეტლანა შამუგიას დააკისრა.

* * *

კარნავალი ვის არ ახალისებს, ვის არ აინტერესებს ვინ იმალება კარგად მორგებული ნიღაბის შიგნით. პიონერებსაც უყვართ ეს და კიდევაც ემზადებიან კარნავალის მოსაწყობად.

ჯერ სკოლაში ჩაატარებენ კოსტუმირებულ კარნავალს, თუ მოწონება დაიმსახურეს, მაშინ ხომ საქალაქო ფესტივალზე გავლენ.

ვნახოთ, ამას მომავალი გვიჩვენებსო, ამბობენ ისინი და ნიღბების კეთებაში ვარჯიშობენ: ცდილობენ საიდუმლოდ შეინახონ საკუთარი ნიღაბი და მოუთმენლად ელიან კარნავალის დღეს.

* * *

„ყვავილებო, წითელო და ჭრელო,
გამიცინეთ, გამიღიმეთ ნაზად.“

ისმის პატარას საამო ხმა. ფანჯრიდანვე მოჩანს დიდი თეთრი ბანტით დამშვენებული ქერა თმები. ეს ემა გახლავთ, ფაცაცია. ამ ძობლები სამუშაოდ წასულან, უფროსი დები — სკოლაში, ბებია რაღაცას საქმობს, ემა კი პიანინოს მისჯდომია და თავის საყვარელ სიმღერას ვინ იცის მერამდენედ ძღერის — ისიც ფესტივალისათვის ემზადება.

ემას უფროსი და, მეათეკლასელი მერი, თავის თანაკლასელ ტანია ბერულავასთან ერთად დუეტს შეასრულებს ფესტივალზე. ტანია ხშირად მოდის მერისთან, რომ უფრო უკეთესად შეუწყონ ერთმანეთს ხმები. ამრიგად ხშირად იმართება კონცერტები პატარა ემას ოჯახში. საღამოობით, როცა ყველა თავის საქმეს მოათავებს, მთელი ოჯახი იკრიბება პიანინოს ირგვლივ.

ბესლეთელი პიონერები ფესტივალის შესახვედრად ემზადებიან და მოუთმენლად ელიან სასიხარულო დღეებს.

ლენა გაგლოევა

ფოტო დ. იაკობაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. სოფინიკი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

თეთრი ვირთხა

მოთხრობა

ბორია საყვირს უკრავდა. ლიონია დოლს უბაგუნებდა. მათ მიჰყვებოდნენ ვავა და დიმა, სულ წინ კი რგოლის ხელმძღვანელი ტანია ზაკატოვა მიაბიჯებდა.

ტანიას თავი შეხვეული ჰქონდა (ხიდან ჩამოვარდა ამას წინათ), კეფაზე ცოცხივით გამოფშეკოდა თმები. თავის რგოლს რომ მიუბრუნდებოდა ხოლმე, ტანიას ეს ცოცხი აქეთ-იქით ერხეოდა.

— ვავა! ფეხს რატომ ურევ?... დიმკა, ნუ ჩამორჩი!

სერიოზულ საქმეზე მიდიოდნენ. ტანია ზაკატოვას პაკეტი მიჰქონდა მეტად მნიშვნელოვანი წერილით. ამ წერილში ეწერა, რომ „კარბიდები", ესე იგი ქარხანა „კარბიდის" პიონერბანაკი, სამხედრო თამაშში იწვევდა „ფეიქრებს" — საფეიქრო ფაბრიკის პიონერბანაკს.

რგოლი აუჩქარებლად, საზეიმო იერით მიაბიჯებდა ჭალაში, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფდა ორ ბანაკს, დოლი გრიალებდა, საყვირი ღრიალებდა და ამ ხმაზე ჩამავალი მზის სხივებით განათებული ხეებიდან დამფრთხალი ჭილყვავები ფრინდებოდნენ.

გზა ტყიდან ტრიალ მინდორზე გავიდა. მინდვრის ბოლოში თეთრი, ქონგურებიანი სახლი იდგა წვეტიანი სახურავით. ბავშვები ხედავდნენ, როგორ გარბოდნენ „ფეიქრები" ხაზისაკენ.

— გველოდებიან! იციან, რა საქმეზეც მივდივართ! — თქვა ტანიამ.— ვავკა, ისევ ურევ ფეხს!... დიმკა, ყელსახვევი გაისწორე!.. ერთი-ორი-სამი-ოთხი! ერთი-ორი-სამი-ოთხი!

ისინი ჭიშკარში შევიდნენ და „ფეიქართა" უძრავად გაშეშებულ რიგებს ჩაუარეს. დროშიან ანძასთან მათ ბანაკის საბჭოს თავმჯდომარე მიშა ბურლაკი ელოდებოდა. ტანია მის წინ შეჩერდა.

საყვირისა და დოლის ხმა მიწყდა. სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ჩასუქებული, დინჯი თავმჯდომარე ქვეშ-ქვეშ გასცქეროდა „კარბიდების" წარმომადგენელს, წვრილკანჭებიანი, გამხდარი ტანია კი მოლოდინით შეჰყურებდა თავმჯდომარეს.

თავმჯდომარე როგორღაც უცნაურად იქცეოდა. ის ცდილობდა უძრავად მდგარიყო და ჩვეულებრივად დინჯად სჭეროდა თავი, მაგრამ დროდადრო რაღაცნაირ უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა: ხან მხრებს შეათამაშებდა, ხან მუცელს გამოზნექდა, ხანაც სულ შეიზიდავდა ხოლმე. ტანიამ ფისით დაწებებული პაკეტი გადასცა მას. ბურლაკმა პაკეტი გამოართვა და თან რატომღაც მარჯვენა ფეხი მუხლში მოღუნა და მაღლა ასწია.

ხაზზე მდგომი პიონერები აჩურჩულდნენ.

თავმჯდომარემ პაკეტი გახსნა. მან ფეხი ჩამოუშვა, წელში მოიხარა, თითქოს მუცელი სტკივაო, აკანკალებული ხმით სწრაფად შეუდგა კითხვას, წარა-მარა ენა ებმებოდა:

„მამაც „ფეიქრებს" მამაცი „კარბიდებისაგან".

პატივცემულო გულადო „ფეიქრებო!"

ჩვენ, თქვენი მეზობლები, წინადადებას გაძლევთ, შევეჯიბროთ ერთმანეთს სიმარჯვეში, გამძლეობასა და მოხერხებაში დიდი სამხედრო თამაშის საშუალებით. თამაში დავიწყოთ ხვალ, დილის რვა საათზე და გავაგრძელოთ, სანამ რომელიმე მხარე სრულ გამარჯვებას არ მიაღწევს.

თამაშის პირობები თქვენთვის ცნობილია.

მიიღეთ ჩვენი ულრმესი პატივისცემა..."

მიშა კითხულობდა, მაგრამ ადარავინ უსმენდა. ყველა თავმჯდომარის მარცხენა ფეხს მისჩერებოდა თვალებდაჭყეტილი: მისი მოკლე შარვლის ტოტიდან ნელნელა მოძვრებოდა... თეთრი ვირთხა.

— „მიიღეთ... მიიღეთ... ჩვენი... ულრმესი..."

ფეხებგაჩაჩხული ვირთხა, მუცლით დაეცა ძირს. იმავე წამს ხაზზე საშინელი წივილი გაისმა. ვიღაცა ვიღაცას დაეჯახა და ძირს გაგორდა ორი „ფეიქარი". ვიღაც გადაევლო ღობეს და მიიმალა. ჩოჩქოლი ატყდა. ასორმოცდაათი ბავშვი ყაყანით შემოეხვია თავმჯდომარეს.

— გამატარე ერთი! რა ამბავია აქ! ბურლაკ, რა მოხდა?!

უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ბავშვების წრე გაარღვია და ბურლაკთან მივიდა.

— არაფერი!... — ბურტყუნებდა დაბნეული თავმჯდომარე. — უბეში ჩავისვი, ის კი შარვალში ჩაძვრა და გარეთ გამობრძანდა... იმ გოგოს არ ვიცი რისა შეეშინდა...

— ტანია! — დაუძახა ხელმძღვანელმა.

ღობეზე წვრილკისერა ტანიას შეხვეული თავი გამოჩნდა. ის კუშტად მიაჩერდა ხელმძღვანელს.

— რისი შეგეშინდა, შე სულელო? მოდი აქ!

— არ მოვალ!— მიუგო ტანიამ.

ფეხშიშველა „ფეიქრებმა" ხტუნვა და სიცილი ატეხეს.

— მშიშარა! ვირთხის ეშინია! ვირთხას გაექცა!

— დიახაც, მეშინია! — მიუგო ტანიამ. — პეტრე პირველი მამაცი ადამიანი იყო, მაგრამ ხოჭოებისა ეშინოდა!

ხელმძღვანელმა მაღლა ასწია ვირთხა და ტანიას დაანახვა:

— აბა, პეტრე პირველო, ხომ ხედავ, მიმყავს. ახლა მაინც მოდი!

...„კარბიდები" დაძმარებულნი გამობრუნდნენ უკან. „ფეიქრებმა" მხიარული ყიჟინით მიაცილეს ისინი ჭიშკრამდე.

— ხვალ პეტრე პირველს შევებრძოლებით!

— ვირთხამ გვიდარაჯოს! ვერცერთი „კარბიდი" ვერ გაგვეკარება ახლოს!

ერთმა პატარა ბიჭუნამ ჭალამდე მისდია მათ. ის თან ცეკვავდა და თან წრიპინებდა:

— პეტრე პირველო, ეი, პეტრე პირველო! პეტრე პირველო!

ტყეში რომ შევიდნენ, ლიონიამ დოლი უთაქა თავში მსუბუქად და ბიჭმა შინისკენ მოუსვა.

— მაგარი სირცხვილი კი ვჭამეთ, — წაიბუზღუნა მედოლემ. — ესეც რგოლის ხელმძღვანელი გაგვიჩნდა რალა! ვირთხების ეშინია!

— რაო? — უცებ შედგა ტანია და ლიონიას მიუბრუნდა. — რა თქვი?!

ჩასხმულმა, ლონიერმა ლიონიამ უკან დაიხია.

— აბა, გადახტი ერთი!

გზას ღრმა თხრილი კვეთდა, რომელზეც ბოგირი იყო გადებული. ლიონიამ წაიბურტყუნა:

— სულაც არ მეხალისება ფეხების წამტვრევა!

ტანია გზიდან გადავიდა, გაქანდა, თხრილს გადაეკვლო და იქითა ნაპირზე დახტა.

ამის შემდეგ აღარავის დაუწყია ბუზღუნი რგოლის ხელმძღვანელზე. სწრაფად მიაბიჯებდნენ ხმაგაკმენდილნი. წინ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე ელოდათ.

* * *

დაღამდა. „ფეიქრები“ ძილს მიეცნენ თავიანთ ქონგურებიან აგარაკში. სინათლე ჩაქრა სოფლის სკოლაშიც, სადაც „კარბიდები“ ცხოვრობდნენ. ნათელი მცხრალი მთვარე ამოცურდა კამკამა ცაზე და მოცისფრო შუქი დააფრქვია ხის კენწეროებს ჭალაში.

დაბლა, ხეებქვეშ, სიბნელეს და სიჩუმეს დაესადგურებინა. ბარდებში ხუთი მზვერავი ფრთხილად მიეკვლევდა გზას. ტანია წინ მიდიოდა და იღლიაში ფირფიცრის ყუთი ამოედო ბავშვების ნახელავი ტელეგრაფის აპარატი. ვავას სანოვაგიანი ზურგჩანთა მიჰქონდა, მის ძმას დიმას კი, რომელიც მახავით პატარა და ხუჭუჭა იყო, ადუღებული წყლით სავსე ჩარექნიანი ბოთლი მიეკრა გულზე. სულ უკან ბორია და ლიონია მიდიოდნენ. ისინი წელში მოხრილიყვნენ, ჩუმად ხვნეშოდნენ და მავთულდახვეულ დიდ კოჭას მიათრევდნენ. კოჭა ნელ-ნელა ტრიალებდა, ოდნავ ჭრიჭინებდა ღამის სიჩუმეში და შავი მავთული დანამულ ბალახზე წვებოდა.

ძალიან ნელა მიიწევდნენ წინ. ტოტებს ედებოდნენ, უჩინარი ჯირკები გზას უღობავდა ბავშვებს. დღისით ალერსიანი ჭალა ახლა ყრუდ დრტვინავდა და თითქოს არ უნდოდა მათი გატარება.

ერთიანად დაკაწრული ბავშვები ჭალიდან პატარა ხრამის პირას

ვიღაც გადაეკვლო ღობეს და მიიმალა.

გამოვიდნენ, რომლის ფსკერზე ნაკადული მიწანწკარებდა. იქმა ხრამის გადალმა პატარა გორაკი იყო აღმართული. გორაკის მწვერვალზე, კამკამა ცის ფონზე დამწვარი ჯიხურის სამი შებოლილი ბოძი და მიტოვებული სარდაფის ორფერდა სახურავი მოჩანდა.

ტანია ხრამში ჩაეშვა და ქვიდან ქვაზე ხტომით ნაკადულზე გადავიდა. მას დიმა მიჰყვა. დიმა ქვაზე შედგა ნაკადულის შუაგულში და ფეხის დასადგმელს ეძებდა. მაგრამ უცებ წაბარბაცდა, დიხარა და მაშინვე გასწორდა სწრაფად. გაისმა წკრიალი. დიმამ ხელები ძირს დაუშვა და გაირინდა.

— გატეხე! — შეჰყვირა ტანიამ.

— დამივარდა, — მიუგო დიმამ.

— დოყლაპია!

„კარბიდებმა“ ჩუმად დაუწყეს დიმას ლანძღვა. მერე ბორიამ თქვა, ბანაკში უნდა დაბრუნდეს ვინმე და ბოთლი მოიტანოსო.

— ჰო, როგორ არა! — გაწყრომატდა ტანია. — მოვდგეთ და მთელი ღამე წინ და უკან ვირბინოთ!.. წავიდეთ!

ბავშვები ნაკადულზე გადავიდნენ, მთვარის შუქით განათებულ გორაკზე ავიდნენ და იქ შეჩერდნენ ხმაგაკმენდილნი და ყურდაცქვეტილები. ბიჭებს შუბლზე ჩამოეფხატათ კეპები, პალტოს საყელო კი ყველას აწეული ჰქონდა.

გორაკს იქით გადაჭიმულ მინდორს მთვარის შუქზე ცისფერი დასდებოდა. მინდვრის ბოლოს თეთრად მოჩანდა „ფეიქრების“ სახლი, რომელსაც სამი მხრით მაღალი ფიჭვები ერტყა გარს. ბორიამ რატომღაც ქუდი მოიხადა. კინკრიხოზზე ინდიელის ფრთასავით აშვეროდა რამდენიმე ბალანი.

— არხეინად სძინავთ და არც კი იციან, რას ვუმზადებთ, — ჩუმად წაილაპარაკა მან.

ყველამ უსიტყვოდ დაუქნია თავი, და თეთრი სახლის თვალიერება განაგრძეს.

ხვალ დაიწყება სამხედრო თამაში. „კარბიდებისა“ და „ფეიქართა“ რაზმები, წითელი და ლურჯი მკლავსახვევებით, ტყეში დაიწყებენ ცოცვას, რათა „მოწინააღმდეგის“ ბანაკში შეიპარონ და დანიშნულ ადგილზე დამალული დროშა მოიტაცონ. ამ ხნის განმავლობაში ხუთი მამაცი მზვერავი გორაკზე იჯდება „მოწინააღმდეგის“ ცხვირწინ. ისინი უთვალთვალებენ „მოწინააღმდეგს“ და მის ყოველ მოძრაობას ტელეგრაფით აცნობებენ თავიანთ შტაბს. ყველაფერი ეს ტანიამ მოიფიქრა. მზვერავები ხილსაყრელ მომენტს შეარჩევენ, მათ მიერ მოცემულ ნიშანზე „კარბიდების“ ჯგუფები უეცრად თავს დაესხმიან „ფეიქრებს“ და მაღალ ანძაზე ამართულ დროშას ჩამოუშვებენ.

— წავიდეთ! — ჩუმად გასცა ბრძანება ტანიამ. — ბორის, ლიონია, მავთული გაჭიმეთ!

„კარბიდებმა“ უსიტყვოდ მიაშურეს სარდაფს. ისინი ერთი მეორის მიყოლებით შევიდნენ სახურავის დაქანებულ ფერდებს შორის მოთავსებულ კარში. ტანიამ ჯიბის ელექტროფარანი აანთო.

სარდაფის ზედა ნაწილი ცარიელი იყო. ფიცრის იატაკის შუა ადგილას შავად მოჩანდა ქვევით ჩასასვლელი კარი. ბავშვებმა დაიჩოქეს და ძირს ჩაიხედეს.

ღრმა ორმოში შისადგმელი კიბე ჩადიოდა. ორმოს ძირზე ტანიას ფარნის შუქზე ბავშვებმა ცარიელი კასრები დაინახეს.

— მყავე კომბოსტო ჰქონიათ, — ჩუმად თქვა ვავამ.

ლიონიამ ცხვირზე ჩამოფხატული კეპი გაისწორა და გაიცინა:

— ტანია! ერთიც ვნახოთ და ვირთხები იყოს აქ, ჰა?

— ვერ შემაშინებ. ვირთხებს აქ რა გააძლებინებს. დიდი ხანია, შიმშილით გაწყდებოდნენ. შენ, ზედმეტ ლაყბობას, გირჩევნია აპარატი გამართე.

ტელეგრაფის აპარატი ზარის ელექტრომაგნიტთა და საწერი მანქანის გორგოლაჭით, რომელზეც გაზეთის არშიებიდან ჩამოჭრილი ქაღალდის ლენტი იყო დახვეული, მალე კუთხეში იდგა სახურავის ფერდქვეშ. ბავშვები გარშემო შემოცუცქულიყვნენ და უცქეროდნენ, როგორ აწყობდა ლიონია საცდელ გადაცემას.

— გადაეცი, — უთხრა ტანიამ: — „მიუხედავად სიძნელეებისა, სარდაფი დავიკავეთ. გვაცნობეთ, როგორ ღებულობთ გადაცემას. პუნქტის უფროსი — ზაკატოვა“.

ლიონიამ კეპი მოიხადა, გაკრეჭილი თავი აპარატზე დახარა, დაიწყო ბერკეტით კაკუნი, და თან ჩუმად იმეორებდა:

— წერტილი, ტირე, ტირე, წერტილი... ტირე, ტირე, ტირე...

ლიონია დაახლოებით ხუთ წუთს მოუნდა ამ დეპეშის გადაცემას

სულ უკან ბორია და ლიონია მიდიოდნენ, ჩუმად ხვნეშოდნენ და მავთულდახვეულ დიდ კოჭას მიათრევდნენ.

და სულ მთლად ოფლში გაიღვარა მეტისმეტი მონდომებისაგან. ბოლოს მან გადასცა, ახლა მიღებაზე გადავდივარო, და რაღაც მარჭვალი მოატრიალა. ახლა უკვე ყველა მაგნიტის ლუზას მიაჩერდა, რომელზეც ფანქრის პატარა გრაფიტი ეკეთა. ლიონიამ ხელი მოჰკიდა ქაღალდის ლენტის ბოლოს და გამოსწია.

სადღაც ტყის გადაღმა, „კარბიდების“ პიონერხელმძღვანელის ოთახში, ბანაკის მორიგე ტელეგრაფისტი სენია უუკოვი აპარატის ბერკეტს აკაკუნებდა, აქ კი, სარდაფში, ქაღალდის ლენტზე მკრთალი ხაზები და წერტილები გამოჩნდა. ლიონია გაჭირვებით არჩევდა ფარნის შუქზე ქაღალდზე ნაწერს:

„კა-ად ვიღებთ. გი-სურ-ვებთ წა-მა-ტე-ბას. მორიგე მეკავშირე უუკოვი“.

ვავამ თავისთვის გაიცინა და ტაშიც შემოკრა ფრთხილად.

— მუშაობს! — აჩურჩულდნენ აღფრთოვანებული „კარბიდები“, — მუშაობს!

აპარატის გამოცდის შემდეგ სხვადასხვა კუთხეში მოიკალათეს და ტანიამ ფარანი ჩააქრო.

სულ მთლად ჩამობნელდა. მხოლოდ სახურავის ნახვრეტებში იჭრებოდა ღამის სუსტი შუქი. ბავშვები გაიტრუნენ. ხრამიდან ნაკადულის ჩუხჩუხი ისმოდა. სარდაფში შემოფრენილი კოღო ბზუოდა. ასე გავიდა ნახევარი საათი.

— ამხანაგებო! არა გძინავთ? — წამოილაპარაკა ბორიამ.

გამწყრალი „კარბიდები“ აბუზღუნდნენ სიბნელეში:

— არც გვიფიქრია დაძინება!

— იცით რა? აი, ახლა ჩვენს ამხანაგებს ტკბილად სძინავთ ზურგში, თბილ ლოგინებში, ჩვენ კი აქა ვფხიზლობთ მოწინავე პოზიციაზე... არა, ამხანაგებო?

— ჰო! — უპასუხა ვიღაცამ.

სადღაც კართან ტანია აწრიალდა.

— გამიგონეთ! მოდით ერთი, რამე ისეთი ჩავიდინოთ...

— ჩავიდინოთ? მაინც რა უნდა ჩავიდინოთ?

— აი, რა: ჩვენ ჩვენს ბანაკთან მხოლოდ ტელეგრაფის მავთული გვაკავშირებს. რა კარგი იქნებოდა ამ მავთულით დეპეშა გადაგვეცა: „დღეს, ვთქვათ, ნოლ საათსა და ორმოცდაათ წუთზე, ამა და ამ მზვერავებმა ესა და ეს საგმირო საქმე ჩაიდინეს.“ ვითომ რაიმე განსაკუთრებული გმირობა, ხომ გესმით?

ეს აზრი ყველას მოეწონა. დაიწყეს მოფიქრება, რა გმირობა ჩაედინათ.

— არა! — თქვა ლიონიამ. ასეთი დეპეშა უნდა გავგზავნოთ: „დღეს ღამით, ესა და ეს მზვერავები შეიჭრნენ... იმაში, რა ქვიან... მოწინაალმდეგის განლაგებაში და... რაიმე ისეთი ჩაიდინეს“.

— მაინც, რა გააკეთეს? — ჰკითხა ბორიამ.

— ვთქვათ, რაიმე დივერსიული აქტი.

— ოი, რას ამბობთ, — დაიწრიპინა ვავამ. — ორი ნაგაზი და ღამის დარაჯი ჰყავთ იქა. ისეთ დივერსიულ აქტს გიჩვენებენ, რომ სულ „ვაი დედას“ გაძახებინებენ!

— კაცნა რომ თქვას, არც შეიძლება მაგისთანა რამე! თამაში ხომ ჯერ არ დაწყებულა. — თქვა ტანიამ.

დიდხანს იმტვრევდნენ თავს „კარბიდები“.

თანდათან სახურავის ნახვრეტები განათდა. იატაკზე ქვევით ჩასასვლელი კარი გამოჩნდა შავად, კუთხეში კი — მიყუჟული ბავშვები. ზოგი ფეხმორთხმული ივდა, ზოგიც პირდაპირ იატაკზე — დილის სუსხისაგან მობუზულიყო.

— ვისაუზმოთ? — წინადადება წამოაყენა ბორიამ.

ვავამ ზურგჩანთა გახსნა, ერთი მთელი პური და რამდენიმე მოხარშული კარტოფილი ამოიღო, მერე ეშმაკურად გადახედა ამხანაგებს და ზედიზედ ხუთი გამხმარი თევზი ამოალაგა.

— მე თვითონ ვიშოვე სოფლის მაღაზიაში! — ამაყად თქვა მან. და გაზეთზე დალაგებული ულუფები ამხანაგებს ჩამოურიგა.

მზვერავები ჭამას შეუდგნენ, თევზის ძვლებს წუწნიდნენ და განაგრძობდნენ ხმამაღლა ოცნებას გმირობაზე.

— ჭექა-ქუხილი მაინც ატყდებოდეს! — ნატრობდა ტანია, რომელსაც ორი თითით ეჭირა თევზის კუდი. — „სათვალთვალო პუნქტის რაიონში ჭექა-ქუხილი და წვიმაა, სარდაფი წყალმა დაფარა, მუხლამდე წყალში ვდგავართ და განვაგრძობთ მოწინაალმდეგის დაზვერვას“...

— მე მგონი, ასე აჯობებდა, — თქვა ბორიამ: — „სათვალთვალო პუნქტის რაიონში ჭექა-ქუხილი ატყდა. უზარმაზარი ხე წაიქცა სარდაფის გვერდით. განვაგრძობთ დაზვერვას“.

— არა, აგრე არა! აი, ასე, — ლიონიამ წამოიწია კიდეც, — „სათვალთვალო პუნქტის რაიონში ჭექა-ქუხილი ატყდა. სარდაფს მეხი დაეცა. მზვერავთა ნაწილი გონებადაკარგულია. განვაგრძობთ დაზვერვას ალმოდებულ ნანგრევებიდან“.

— რას ამბობთ, გოგოებო! — აწრიპინდა ვავა. — ეგეთი რამე რომ მოხდეს, ხელმძღვანელები სულაც გაგვრეკავენ აქედან და თამაშსაც შეწყვეტენ.

* * *

გავიდა სამოიოდე საათი. სახურავის ნაჩვრეტები ოქროსფრად შეიღება და იქიდან იისფერი სხივები შემოიჭრა სარდაფში. პირქუში სურათი გაანათეს ამ სხივებმა!

ყველანი კედელს ეცნენ და ფიცრებს შორის ჭუჭრუტანებში დაიწყეს ცქერა.

გაფითრებული, თითქოს ერთ ღამეში გამხდარი ბავშვები თავთავის ადგილზე ისხდნენ, კისრები წაეგრძელებინათ და წამდაუწუმ ნერწყვს ყლაპავდნენ. იატაკზე ქაღალდის ნახევები, თევზის გამოხრული ძვლები და კარტოფილის ნაფცქვნები ეყარა.

ლიონია კედელს მიყრდნობოდა, თავს ხან ერთ მხარეს გადააგდებდა, ხან მეორეზე და გულამოსკვნით ჩურჩულებდა:

— ნაწლავები მეწვის პირდაპირ!... ნამდვილად რაღაც ანთება მეწყება! — ის მწყრალად მიაჩერდა ტანიას და უთხრა:— ნეტავ ვიცოდე, რა დაგაკლდება, მე რომ ნაკადულზე ჩავირბინო?

— არ გაგიშვებ, „ფეიქრები“ დაგინახავენ, — მეათედ უმეორებდა ტანია.

— რას დამინახავენ! იმათ სძინავთ თავისთვის არხეინად, ჩვენ კი აქ უნდა ვიტანჯოთ!

გაფითრებული ტანია უდრეკი გამომეტყველებით მუხლებზე იდგა და თავისი ტანით ფარავდა კარს.

— ყველას უნდა წყალი, მე შენზე ნაკლებად როდი მწყურია!

— ჰო, როგორ არა! შენ ორი ჭიქა ჩაი დალიე ვახშამზე, მე კი...

— არ გაგიშვებ, გასაგებია?!

ბორია უხმოდ უსმენდა ამ ლაპარაკს. ისედაც გრძელი სახე კიდევ უფრო მეტად დაგრძელებოდა. ვავა ჩუმად ფშლუკუნებდა, თითქოს ასლოკინებსო, მისი ძმა კი უძრავად იჯდა და პატარა ცხვირი და დიდრონი შავი თვალები ტანჯული გამომეტყველებით აღეპყრო მაღლა.

უცებ ბორია წამოდგა:

— ამხანაგებო რა გაჩხუბებთ? თუ კი ყველა დავიწყებთ ნაკადულისაკენ წინ და უკან სირბილს, შეიძლება შეგვნიშნონ. მაგრამ შეიძლება ერთმა ჩვენგანმა ზურგჩანთა წაიღოს და ყველასათვის მოიტანოს წყალი.

— სწორია! ზურგჩანთა ბრეზენტისაა და წყალი არ გაუვა.

— ძალიან კარგია, გოგოებო! ძალიან მშვენიერია! — მოწონებით აწრიპინდა ვავა.

— არ გაგიშვებთ!

მაშინ კი გამოელიათ „კარბიდებს“ მოთმინება. წელში მოხრილი ლიონია რგოლის მეთაურს მიუახლოვდა. ვავა ფეხზე წამოხტა. ის მწყრალად იცქირებოდა ლიონიას ზურგს უკანიდან. ბორიამაც წინ გადადგა ნაბიჯი.

— რაო, ხომ არ უნდა დავიხოცოთ აქ? — კუშტად იკითხა ლიონიამ.

— არ გაგიშვებ!

— გმირობაზე ბევრს გაჰკიოდი, მაგრამ, როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, ერთი კაცის გაშვებისა შეგეშინდა!

— არ გავუშვებ!

— ეს რა საკვირველი რგოლის მეთაური გვყოლია, გენაცვათ გოგოებო! ვირთხების ეშინია, „ფეიქრების“ ეშინია, ყველაფრის ეშინია.

ლიონია მჯიღს იბაგუნებდა მკერდზე:

— მე, მე მაინც გამიშვი! ისე გავცოცდები რომ...

— როგორ არა, გაცოცდები! გიცნობთ, ვინცა ბრძანდები!

— მაშინ შენ თვითონ წადი!

— არც მე წავალ!

ლიონია სულ ახლოს მივიდა ტანიასთან. მან მოულოდნელად ლმობიერი, ალერსიანი ხმით ჰკითხა:

— შეგეშინდა?

— შეგეშინდა? — დაიწრიპინა ვავამაც.

ტანია წამოხტა, თავი მიახეთქა სახურავს და კეფაზე ხელწავლებულმა მკაფიოდ წამოთქვა:

— მომეცით ზურგჩანთა!

— ჰოდა, მშვენიერია! აი, ეს კარგია! არაფერიც არ მოხდება, — მშვიდობიანად არატრატდა ვავა და სანოვაგის ნარჩენები გამობერტყა ჩანთიდან.

ტანიამ პალტო გაიხადა და ხელი დასტაცა ზურგჩანთას.

— მაშ შეგეშინდაო, ამბობ?

მან კარი გამოაღო, დაიხარა, რომ კიდევ არ მიერტყა თავი, ნაბიჯი გადადგა, ერთი წამით შედგა... მერე უკანვე შემოვარდა და კარი მიხურა.

— რა მოუვიდა? — გაუკვირდათ ბავშვებს.

— იქა დგანან! — ძლივსგასაგონად წაილაპარაკა ტანიამ.

ყველანი კედელს ეცნენ და ფიცრებს შორის ჭუჭრუტანებში დაიწყეს ცქერა.

დიმაც კი აღარ „კვდებოდა“. მან გაკვირვებით გაიქნია თავი, წამოდგა და კართან მივიდა.

„ფეიქრთა“ სახლის პარმაღზე მხარზე პირსახოცგადაკიდებული ორი ბიჭი იდგა: ერთი პატარა იყო, მეორე — დიდი. პატარას ხელი გაეშვირა და სარდაფზე უჩვენებდა.

„კარბიდები“ მოსწყდნენ კედელს.

— მოდიან!

— ვაიმე, გოგოებო, პირდაპირ აქეთ მოდიან!

ერთ წუთს ისინი სარდაფში დაწრიალებდნენ და თავებით ეხეთქებოდნენ ერთმანეთს.

— ძირს ჩაძვერით! კასრებში დავიმალოთ! — გასცა განკარგულება ტანიამ.

— ყველაფერი მოაშორეთ აქედან!

პალტოები, მავთულის ცარიელი კოჭა, ზურგჩანთა, კარტოფილის ნაფცქვნები, თევზის თავები და კუდები, ყველაფერი ძირს გადაუყარეს, სარდაფის სილრმეში. ლიონიამ მავთული ახსნა აპარატს და იმიანად ძირს ჩაცურდა მისადგმელი კიბით. იმას მიჰყვნენ დანარჩენებიც. „კარბიდებმა“ ხვნეშითა და ერთმანეთის ჯიკაობით აიღეს კიბე და იქვე კედლებთან ორ რიგად ჩამწკრივებულ კასრებსუკან დამალეს. იქვე ჩაჰყარეს თავიანთი ნივთები და სანოვაგის ნარჩენებიც. მერე ყველანი კასრებში ჩაძვრნენ და გაიტრუნენ.

გავიდა ერთი წუთი, ან იქნებ ორიც. აი ზევით კარმა გაიჭრიალა. ორი ხმა გაისმა. ერთმა დინჯმა, ბოხმა ხმამ, რომელიც ბურლაკისას ჰგავდა, გაჯავრებით იკითხა:

— აბა, სად არიან შენი „კარბიდები“?

მეორემ, წვრილმა ხმამ, ჩუმად, მაგრამ გაცხარებით უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პატიოსან პიონერულ სიტყვას გაძლევ, დავინახე! იმათ ის იყო, რა ჰქვია... პეტრე პირველი... ტანსაცმლით ვიცანი. ჭრელი ზედატანი ეცვა. კარი გამოაღო და მერე ისევ მოაჯახუნა... იმის უკან კიდევ ვიღაც-ვიღაცები იდგნენ... ჩემი თვალით ვნახე.

— რამდენი იყვნენ? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— ათნი... არა, მიშკა, ოც კაცამდე იქნებოდნენ. ჰოდა, სულ ათვალიერებდნენ აქაურობას!

— სტყუი, — ზანტად წაილაპარაკა ბურლაკმა.

— პატიოსანზე! უპატიოსნეს სიტყვას გაძლევ, აი! ვიცი, სადაც არიან! ქვევით სხედან.

კასრებში გატრუნულმა „კარბიდებმა" გაიგონეს, როგორ მიუახლოვდა ჩასასვლელ კარს ორი „ფეიქარი".

— ჰეი! — ბოხი ხმით დაიყვირა პატარა ბიჭმა.

ლიონიას კასრი ტანიას კასრის პირდაპირ იდგა. ლიონიამ რგოლის ხელმძღვანელს შეხედა. ტანია ფეხმორთხმული იჯდა წელში მოხრილი და ენაზე კბილები დაეჭირა. ცალ თვალზე კულული ჩამოშლოდა, მეორე თვალი კი სადღაც ზევით იცქირებოდა უძრავად.

— ეი, პეტრე პირველო! სულ ერთია, ვიცით, კასრებში სხედხართ.

ბავშვებმა სუნთქვაც კი შეიკრეს.. ფეხები დაუბუჟდათ, წელი სტკიოდათ, მაგრამ განძრევა არ შეიძლებოდა: ოდნავი შერხევა და —კასრები ქანაობას იწყებდნენ.

— კასრებში სხედან! პატიოსან პიონერულ სიტყვას გაძლევ, კასრებში სხედან! გავიქცეთ, განგაში ავტეხოთ! იმათი მზვერავებია!

— უცნაური ადამიანი ხარ, პირდაპირ! განგაში რომ ავტეხოთ და აქ არავინ აღმოჩნდეს, მერე რაღას შვრები? სასაცილოა სწორედ!

— მოდი! ჩავხტეთ და ვნახოთ.

— ჩავხტეთ და კისრები დავიმტვრიოთ, არა?

— მაშინ მარტო მე ჩავხტები, გავწირავ თავს, გინდა?

— თავის გაწირვა ადვილია! შენ სცადე თავის გაუწირავად გააკეთო საქმე. აი, ეს სულ სხვა ამბავია!

— ეს როგორ... თავის გაუწირავად?

— ორმა „ფეიქარმა" ისე ჩუმად დაიწყო ჩურჩული, რომ „კარბიდებმა" ვერაფერი გაიგონეს. მერე პატარამ ჩაიხითხითა და იკითხა:

— თოკით?

— ჰო, — მიუგო ბურლაკმა.

— კარგი, შენ აქ უდარაჯე. მეც ახლავე მოვალ! — ხმამაღლა თქვა ბურლაკმა და სარდაფიდან გავიდა.

ერთ ხანს სამარისებური სიჩუმე იდგა. მხოლოდ ჩასასვლელ კართან მიდარაჯებული პატარა „ფეიქარის" სუნთქვა და ქსუტუნი ისმოდა. მერე ის უცებ აწრიალდა ზევით და კმაყოფილი ხმით გამოაცხადა:

— იცით, რომ მიშკამ თეთრი ვირთხა უნდა მოიყვანოს?!

„კარბიდებმა" იგრძნეს, რომ ცუდი რაღაც მზადდებოდა. ლიონიამ ისევ შეხედა ტანიას. რგოლის ხელმძღვანელი კიდევ უფრო მეტად მიიკუნტა თავის კასრში.

— ეი, პეტრე პირველო, გირჩევნია, გამოდი! — მუქარით დაიძახა „ფეიქარმა".

„კარბიდები" სდუმდნენ. გულები აჩქარებით უცემდათ. უნდოდათ ხმამაღლა, ღრმად ამოესუნთქათ, მაგრამ ზევით ის პატარა ბიჭი თითქოს განზრახ გაიტრუნა.

ათიოდე წუთი გავიდა. ზევით ჯერ ფეხის ხმა გაისმა, მერე ჩურჩულიც:

— რატომ ფეხში? კუდში ჩავაბათ!.. ფრთხილად, სულელო, არ ჩავარდეს!.. ნელნელა ჩაუშვი!

ლიონიას და ტანიას კასრებშუა თეთრი ვირთხა გამოჩნდა ჰაერში. კუდზე კანაფგამობმული ვირთხა პროწიალებდა, ქანაობდა, ვარდისფერ თათებს პარჭყავდა და ნელნელა ეშვებოდა ძირს. აი, ის მიწის იატაკს შეეხო წინა ფეხებით, დაჯდა, წაწვეტებული ცხვირი აქეთ იქით მიატრიალ-მოატრიალა, ულვაში იყო...

— ეი, პეტრე პირველო, გამოდი, თორემ ცუდად იქნება საქმე!

გაფითრებულ ტანიას ტუჩები ჩაეკვნიტა და თვალს არ აშორებდა ვირთხას. შეკუმშული მუშტები უცახცახებდა.

კანაფი დაიჭიმა და კუდში გამოსწია ვირთხა. ისიც ლიონიასკენ გაცოცდა და თან წაათრია თოკი. ლიონიამ იცოდა, რომ თეთრ ვირთხებს ხალხის არ ეშინიათ. ასეც აღმოჩნდა. ვირთხა კასრში შეძვრა, ფეხი დააბიჯა ლიონიას ნეკზე და ყნოსვა დაუწყო. ლიონიამ ის იყო ხელი ასწია, რომ ვირთხა დაეჭირა და ტანიასთან არ გაეშვა, მაგრამ გაახსენდა შეიძლება „ფეიქრებმა" თოკი გასწორონო, და გადაიფიქრა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კანაფი ისევ დაიჭიმა და კასრებშუა დატოვებულ გასასვლელში გაათრია ვირთხა.

— ასე შეამოწმე ყველა კასრი! ხომ გესმის?! — მოესმათ ბავშვებს ბურლაკის ჩურჩული.

— არის, შევამოწმო ყველა კასრი!

თეთრი ვირთხა უხმოდ დაცოცავდა სარდაფის ძირზე. ის წან რომელიმე კასრში შეძვრებოდა, ხანაც ისევ გამოჩნდებოდა მიწის იატაკზე და „ფეიქართაგან“ დაფარული ხუთი წყვილი ყურადღებით აღსავსე თვალი მის ყოველ მოძრაობას უთვალთვალებდა.

აი, ვირთხა ისევ ლიონიასა და ტანიას შუა აღმოჩნდა და ახლაც ლიონიასკენ გაემართა...

თოკი დაიჭიმა. ვირთხა შეჩერდა, მერე კი ტანიასკენ შეტრიალდა.

ის კასრი, რომელშიც ვავა იჯდა, შექანდა. საბედნიეროდ, „ფეიქრებმა“ ვერ შეამჩნიეს ეს.

ტანიამ მაგრა დახუჭა თვალები. მოკუმშული მუშტები და გამხდარი მხრები თანდათან უფრო ძლიერად აუცახცახდა. ვირთხა ხშირ-ხშირად ჩერდებოდა, აქეთ-იქით უხვევდა, მაგრამ მაინც უახლოვდებოდა გოგონას. აი, კასრში შეძვრა, აცახცახებული მუშტი დაყნოსა, მოულოდნელად ხელზე შეახტა ტანიას და მხარზე დაიწყო აცოცება. ტანიას თვალები არ გაუხელია, ისე გააღო ფართოდ პირი, და ლიონია მიხვდა, ახლაც ისევე შემზარვად, გულის გამგმირავად დაიწივლებს, როგორც გუშინ „ფეიქართა“ ბანაკის ხაზზეო. მაგრამ წივილი არავის გაუგონია. ტანიამ პირი მოკუმა, კბილი კბილს დააჭირა და აღარც განძრეულა. ვირთხა კი მხარზე აძვრა და კისერთან მიუცოცდა გოგონას. ის ზედ ტანიას ყურთან აცმაცუნებდა თავის თეთრ ულვაშებს.

ის კასრი, სადაც ვავა იჯდა, ისევ შეინძრა. ლიონიას ვირთხების არ ეშინოდა, მაგრამ ტანში ურუანტელი უვლიდა, რგოლის ხელმძღვანელს რომ უყურებდა.

სადღაც შორს საყვირის ხმა გაისმა. იმავე წამს ვირთხა გაათრიეს კასრიდან და ფეხების ქნევით ზევით გააქანეს.

— კმარა ლაზღანდარობა! — წაიბურტყუნა ზევით ბურლაკმა.

— პატიოსან პიონერულ სიტყვას გაძლევ, მომეჩვენა... — უკვე სრულიად უნდობლად ჩაილაპარაკა მისმა ამხანაგმა.

— შერე რა, რომ მოგეჩვენა! ჯერ უნდა შეამოწმო და მერე ასტეხო პანიკა. წავიდეთ!

„ფეიქრები“ სარდაფიდან გავიდნენ.

ზედიზედ გამოძვრნენ კასრებიდან გაწამებული, დასვრილ-დათხუპნული „კარბიდები“. მათ მოაგროვეს თავიანთი ნივთები და კიბე მიიდგეს კარს. არცერთ მათგანს კრინტი არ დაუძრავს.

ისინი ზევითაც სდუმდნენ. ლიონია აპარატზე მავთულის ბოლოების მიმაგრებას შეუდგა, დანარჩენებმა კი თავთავისი ადგილები დაიკავეს და ფიცრებშუა ჭუჭრუტანებში დაიწყეს ცქერა.

გადატანილი მღელვარების შემდეგ წყურვილი გაუძლიერდათ. ყოველ მათგანს ეგონა, ეს-ესაა ენაზე კანი დამისკდებაო. მაგრამ ყველანი სდუმდნენ და დროდადრო ტანიას გადახედავდნენ ხოლმე. ის მუხლებზე დაჩოქილი იდგა კართან და თვალს არ აშორებდა ჭუჭრუტანას.

— აპარატი მზად არის, — ჩუმად თქვა ლიონიამ.

რგოლის ხელმძღვანელი სდუმდა, ისევ ჭუჭრუტანაში იცქირებოდა. თეთრი სახლის წინ კი „ფეიქრები“ ოთხკუთხად დაეწყვნენ. ისევ გაისმა საყვირის ხმა. მას დოლიც აჰყვა და მზეზე წითლად მოელვარე დროშა ნელნელა რხევით აღიმართა ანძაზე.

— გადაეცი, — მოუბრუნებლად თქვა ტანიამ: — „მოწინააღმდეგემ დროშა აღმართა“.

ლიონიამ გამხმარი ტუჩები გაილოკა და ყური მიუგდო ნაკადულის ჩუმ ჩუხჩუხს. მან იცოდა, რომ ისიცა და მისი ამხანაგებიც მთელი სამი, ხუთი, ან იქნებ რვა საათის განმავლობაშიც მოისმენდნენ ამ ჩუხჩუხს, მაგრამ არცერთი მათგანი კრინტსაც არ დაძრავდა, მწყურიაო.

ლიონია აპარატთან დაიხარა, ნელა აჭერდა ბერკეტს და თან თავისთვის იმეორებდა:

— წერტილი, წერტილი, ტირე, წერტილი... წერტილი, ტირე, წერტილი, წერტილი... „მოწინააღმდეგემ დროშა აღმართა!„

თარგმნა **ვ. ძიძიგურმა**

„ფესტივალური“

სკოლის ეზოში კარგა მოზრდილი ვენახი გადაშლილა. სად სკოლა და სად ვენახი, შეიძლება გაიკვირვოთ, მაგრამ გასაკვირველი არაფერია. ეს პატარა ვენახი წინანდლელმა ნორჩმა ნატურალისტებმა თავისი ხელით გააშენეს და ახარეს.

მზრუნველი პიონერები: იზა დავითაშვილი, ეთერ ბეჟაშვილი, ეთერ ჩოთალიშვილი და ავთანდილ ჩიკვაიძე თითოეულ ვაზს სათუთად დასტრიალებენ, ნიადაგს დროულად უფხვიერებენ, ვაზს ფურჩქნიან და საჭირო სასუქს აწვდიან. აკი ამიტომ უხვი მოსავალიც მოჰყავთ პატარებს.

სასკოლო ვენახი თანდათან იზრდება, ცდებს აყენებენ ნორჩი მევენახეები და ვაზის ახალ ჯიშებსაც ღებულობენ. ორი წლის წინ ამერიკული ვაზის საძირეს ევროპული კალამი დაამყნეს, ნამყენებმა იხარეს, გაიზარდნენ კიდეც. წელს ამ ყურძენმა აგვისტოში ნაყოფი უნდა გამოიღოს, ხოლო ახალგაზრდობის ფესტივალიც ხომ აგვისტოშია?! სწორედ ამიტომ წინანდლელმა ნორჩმა მევენახეებმა თავიანთი ხელით გამოყვაჰილ ახალ ვაზს „ფესტივალური“ უწოდეს.

აჭარის ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურში

აჭარის ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური ორი წელიც არაა, რაც დაარსდა, მაგრამ აქ უკვე მრავალმხრივი და საინტერესო მუშაობა ტარდება. 11 სახეობის 16 წრეში მუშაობენ ნორჩი მეფრინველეები, მეყვავილენი, მებოსტნე-მემინდვრენი, მეთესლენი, აგრო-ქიმიკოსები, ენტომოლოგები, მეფუტკრე-მეაბრეშუმენი, მეტეოროლოგ-ფენოლოგები და სხვები.

სადგურის ნორჩ ნატურალისტებს გამოყოფილი აქვთ 1,5 ჰექტარი საცდელი ნაკვეთი. ნატურალისტებს შეფობს ბათუმის ბოტანიკური ბაღი და ქალაქის გამწვანების ტრესტი. შეფებმა პატარებს 2.000 ძირამდე ნარგავი გადასცეს. წელს სადგურის ნორჩ ნატურალისტებს აუშენებენ ორანჟერეას, კვალსათბურებს. ნაკვეთზე მოეწყობა აქტიური დასვენებისა და მეტეოროლოგიური კუთხეები.

ხანგრძლივი დღე სკოლაში

თუ დედა მუშაობს და შინ მარტო ყოფნა გეზარება, შეგიძლია საღამომდე სკოლაში იყო, — ასეთი პირობა მისცა თბილისის 88-ე საშუალო სკოლის დირექციამ მოსწავლეებს და მათ განკარგულებაში სამი ნათელი ოთახი გამოჰყო.

საჭირო სახელმძღვანელოები, დაფა, რუკა და სამაგიდო სათამაშოები აქ ბავშვების განკარგულებაშია.

დღის რეჟიმის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ, ბავშვები აქვე სადილობენ, სადილის შემდეგ სუფთა ჰაერზე სეირნობენ. შემდეგ კი აღმზრდელი მასწავლებლების მეთვალყურეობით ისინი საშინაო დავალებას ასრულებენ, მეცადინეობენ.

ვინც არ იზარმაცებს და გაკვეთილებს ისწავლის, მას მეზობელ ოთახში სათამაშოებით სავსე მაგიდა ელის. შაში, ჭადრაკი, კონსტრუქტორები, ბურთი, კლასგარეშე საკითხავი წიგნების მთელი ბიბლიოთეკაც აქვეა. კარგ ამინდში ეზოშიაც შეიძლება სირბილი და თამაში.

ვისაც რა გასართობი სურს, იმას ამოირჩევს.

სკოლა ბავშვებისათვის მშობლიური ოჯახად იქცა.

ბათუმის პიონერთა პარკში

ბათუმის პიონერთა პარკში წლის ყოველ პერიოდში გაცხოველებული მუშაობაა. პარკში 23 სხვადასხვა სახის წრე მუშაობს. პიონერები ჩაბმული არიან დრამატულ, ქორეოგრაფიულ, ნორჩ კორესპონდენტთა, ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ მოჭადრაკეთა, ნორჩ მეზღვაურთა და სხვა წრეებში. ნორჩმა მოცეკვავეებმა თავი ისახელეს თბილისში გამართულ აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე.

ნორჩმა მემტრედეებმა გადაწყვიტეს რესპუბლიკური ფესტივალისათვის 200 მტრედი გამოზარდონ. ნორჩმა მემტრედემ ი. გურჯიშვილმა უკვე 16 მტრედი გამოზარდა. პარკის ცოცხალ კუთხეს შეემატება ახალი ცხოველები: ყირიმის ირმები, მთის ჯიხვები და თუთიყუშები.

ნორჩი მეზღვაურები ახლა თეორიულ კურსზე მუშაობენ, არემონტებენ თავიანთ საყვარელ გემს „პიონერს“, რომლის საყვირის ხმაც პიონერებს საზაფხულო სეზონის გახსნას აუწყებს. წელს გემის კაპიტნებად მოსწავლეები ვ. კარიაგინი და თ. ძიძიგური იქნებიან. ბევრი ყოფილი ნორჩი მეზღვაური საზღვაო სასწავლებლებში სწავლობს და ბათუმის გემთშემკეთებელ ქარხანაში მუშაობს. ყოფილი ნორჩი მეზღვაურები: ზ. ბარაბაძე, კ. მხატვარი და ნ. დუმბაძე საზღვაო სასწავლებელში სწავლობენ. გემის ყოფილი ნორჩი კაპიტანი ვ. ლაკისოვი გემთშემკეთებელ ქარხანაში გემის აშენების ხელობას ეუფლება. პარკის ნორჩ მეზზღვაურთა ხშირი სტუმარია ვეშაპებზე მონადირე ფლოტილია „სლავაზე“ ანტარქტიკაში დაბადებული 6 წლის ანტარქტიკ კეშელავა, რომელსაც მამამისივით მეზღვაურად გახდომა გადაუწყვეტია.

ნორჩ მხატვართა ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების დარბაზებში გაიხსნა მოსწავლეთა ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა. აქ წარმოდგენილია აკვარელითა და ზეთის საღებავებით, ფანქრითა და ტუშით შესრულებული ნამუშევრები, ჭრილაკები და ნაკარკვები. გამოფენა არა მარტო მრავალფეროვნებით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ენერგიტიკის მხატვრული ღირებულებით იზიდავს დამთვალიერებელთა ყურადღებას.

მრავალრიცხოვანი და ამასთან საინტერესო ფერწერული ნამუშევრები აქვთ გამოფენილი ნ. ბედიაშვილს (თბილისის მე-20 საშ. სკოლა) და ბ. შეკერნაძეს (თბილისის პიონერთა სახლის ბატკანა და ფერწერის კისინები). ნ. ბედიაშვილის ნატურმორტებსა და პეიზაჟების ეტიუდებში ჩანს, რომ ნორჩი ფერწერული ბეგრს მუშაობს ნატურიდან, ცოცხალი ბუნებიდან და კარგ შედეგებსაც აღწევს. სიხატკაცურ ვარჯიშს და საკმის სიფაფრულ საგრძნობლად გაწეულითარებია ფერმწერის ნიჭი. ნ. ბედიაშვილი ფაქიზად ეჩინოს ფერს და მაკალერულ გემოვნებასაც აჩვენებენ, ამასთან თავშეფულად ხმარობს ფუნჯს, ფერმრეს ამუშავებს მკაფიოდ, ცდილობს ეფექტისაც საკნის დამამახასოთებელი თავისებურება.

ბ. შეკერნაძის პეიზაჟების ეტიუდებში ზოგნაის დიდი სიყვარული იგრძნობა. მას, როგორც ჩანს, განსაკუთრებით პეიზაჟის ეარი ეზიდავს, მაგრამ დაბრუკეა მხატვრისთვის მარტო ერთი ეარიანი შემოფარგალა მაინც კარ არის სასურველი, ფონიდან პროფესიული ეოფნის გაკრძალვება სინამდვილის მხოლოდ მრავალმხრივი შესაძლებელი.

ბ. შეკერნაძის პეიზაჟებისათვის დამახასიათებელია ლირიკული გამეფებულება, ნაზი ფერადოვანი გამა, მაგრამ ზენა შეკვნილი, რომ ზოგჯერ მისი ეტიუდები ცოტა ერთფეროვნად გამოიყურებიან. ავტორი უნდა შეეცადოს უფრო ხალისიანი და ცოცხალი გამოყოს თავისი ხელოვნა.

ფერწერაში მეშუბიობს კარგ უნარს გვიჩვენებენ აგრეთვე ნ. ორაქელოვი (თბილისის 28-ე საშ. სკოლა), ვ. მიღალეევი, რ. რაბინაშვილი და ო. ქაბაძარა (ქუთაისის პიონერთა სახლი), ი. ოთოფოლოვი (ხაგარეული), ხ. ინაშვილი, ი. ბალალაძე, ი. ბალალიანი, ს. ხანთაანი (სოხუმი) ნ. ერგემლიძე (ციალერა), ჯ. ჩიბეკა (ზოსტატორი).

აკვარელითა და ფანქრით თავისუფლად მეშუბიობს თბილისელი მოსწავლე (პიონერთა სახლი) ვ. ლიკანოვი, რომელიც კარგად დაუფლებულია აკვარელით წერის ტექნიკასაც. ცოცხალი და ხალისიანი ფერებით უფრიალდებიან იქცევენ პიონერელი მოსწავლეებიმ დ. ბაბაკაძის და ქ. ერგემლიძის აკვარელები, აკვარელი, ფანქარია და ტუშით კარგადაა შესრულებული ი. ბარანაძის (ბაოფინი) ნამუშევრები, აკვარელი ა. თოფაშვილის („ბენი ეზო"), ბერეთელეთ და ნიკეალაძის (თბილისის პიონერთა ეტიუდები, სოხუმელი მოსწავლის შ. ხეროიანის ნახატები.

თბილისის 39-ე სკოლის მოწაფეს, დ. ზარიკაშვილს ყველაზე უფრო ბატალური ეარი ეარია. ეს ბიჭი ეარიანი ეარიანი ეარიან

გულერძი ჭეიშვილი

ნახ. გ. გელოვანისა

ზურგსუკან

ზოგჯერ ისიც დანაშაული ყოფილა, ამხანაგს რომ არ აწყენინებ!

ერთხელ მაგრად თოვდა, დერეფნიდან ფეხების ბაკუნი შემომესმა, ვიფიქრე: მეზობელია — თოვლიან ფეხსაცმელებს იბერტყავს-მეთქი... ღუმელს შეშა შევუკეთე, მაგიდაზე გაშლილი საშინაო დავალების რვეულები მივალაგ-მოვალაგე. ის „ვიღაც“ ფეხების ბაკუნს კვლავ განაგრძობდა ზედ ჩვენს კარებთან.

გავხედე...

— ზურიკო, შენა ხარ?! მერე და, რატომ არ შემოხვალ?! — გაოცებით ვუთხარი თანაკლასელ ამხანაგს. ზურიკომ მორცხვად გამიღიმა, თვალები ოთახისაკენ გააპარა და ჩურჩულით მკითხა:

— დედა სახლშია?...

— არა.

— მამა?

— არც მამა. შემოდი, ბიჭო, რამ შეგაშინა?! — ვუთხარი და სახელოზე მოვქაჩე.

გაკვირვებას რომ თავი დავანებოთ, ახლა დავიბენი კიდეც.

— შენი და თუა სახლში? — ჩურჩულითვე განაგრძო მან.

მარტო ვარ-მეთქი! მივუგე ცოტა არ იყოს მოთმინებიდან გამოსულმა და ძალად შევიყვანე ოთახში.

დივანზე ჩამოვჯექით. მოუსვენრობა შევატყე. რამდენჯერმე გულისჯიბისაკენ გააპარა ხელი და დათუთქულივით ისევ უკან წამოიღო.

— საიდუმლო გაქვს რამე?

ყოყმანის შემდეგ გაბედა:

— შენ კარგად გესმის ლიტერატურა და...

ლიტერატურას მართლაც კარგად ვსწავლობ, კლასში ვერავინ მჯობია, მაგრამ ჩემს შეკითხვასთან რა კავშირი ჰქონდა ასეთ პასუხს, ვერ გავიგე სწორედ.

ალბათ თემა ვერ დაწერე-მეთქი.

— როგორ არა, თემა დაწერე! მომიგო მან, მაგრამ ის ახირებული აზრი მაინც გაიმეორა: შენთან იმიტომ მოვედი, რომ ლიტერატურა ძალიან კარგად იცი...

— კარგი, ჰო! მერე და რა მოხდა?...

ლოყებაწითლებულმა, პასუხად ჯიბიდან რვეული ამოაძვრინა და წინ დამიდო...

— ჩემი ლექსებია...

— უჰ! — წამოვიძახე მე და სული მოვითქვი. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! ჰოდა, ამას მიმალავდი, შე კაი კაცო!...

— არავისთვის არ მიჩვენებია... ჰე, წაიკითხე და მითხარი შენი აზრი... — წაილუღლუღა მან. მესამედაც გამიმეორებდა ჩემი ლიტერატორობის შესახებ, მაგრამ დროზე ვანიშნე, ხელს ნუ მიშლი-მეთქი, და კითხვა დავიწყე...

ამას რაღა თქმა უნდა, რომ ყველას თავისი შეხედულება აქვს ლექსებზე, მაგრამ ზურიკოს ლექსებზე, ბევრი რომ არა ვთქვა, ყოველგვარი აზრთა გაცვლა-გამოცვლა ნამდვილად ზედმეტი იყო. კითხვა რომ დავამთავრე, ელდანაცემმა მაშინვე ეს ვინატრე: ნეტა ჩემთვის არ მოეტანა და ამ ჭირში არ ჩავეგდე-მეთქი.

აღარ ვიცოდი რა პასუხი მიმეცა. მოსაჩვენებლად თავიდან შევუდექი კითხვას... ზურიკო თვალებანთებული შემომცქეროდა, ტუჩებს იკვნეტდა, თითებს იმტვრევდა... ამის დანახვამ ხომ მთლად დამაბნია. მოდი და ახლა უთხარი, რომ... არა, არა, ვერ ვაწყენინებ, გადავწყვიტე და ღიმილით მივუგე:

— კარგი ლექსებია...

— მართლა! — შესძახა სუნთქვაშეკრულმა და წამოხტა. — ნამდვილად მოგეწონა?!...

რაღას ვიზამდი, ისევ დავუქნიე თავი.

ზურიკო უცბად აჩქარდა, რვეული ჯიბეში ჩაიდო...

— საით?!

— სახლში, სუფთად უნდა გადავწერო. — თქვა და ოთახიდან გავარდა.

მხრებაჩეჩილი დავრჩი. ვერაფრით ვერ მივხვდი რაში სჭირდებოდა საერთოდ მათი გადაწერა. „ვაიმე!“— გამიელვა უცებ ერთმა აზრმა და ელდანაკრავი გარეთ გამოვვარდი. დერეფანი რომ გავირბინე, ზურიკო მაშინ გავიდა ქუჩაში. ალბათ ფეხის ხმა თუ შეესმა, სხვათაშორის ამოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ხუმრობასა თუ სიმართლეზე ყველას ხარხარი აუვარდა.

ხედა ზევით. მე უნებურად კარებს ამოვეფარე, ვეღარ გავბედე, გადავიფიქრე მასთან მისვლა... ან კი რა პირით მეთქვა სხვა აზრი და მისი გადაწყვეტილება შემეცვალა!

მეორე დღეს, სკოლაში რომ მივედი, ზურიკო მოწყენილი დამხვდა.

— იცი? — მომიახლოვდა თავის ქნევით.

— რა იყო?!

მან ამოიოხრა...

— რა და, გუშინ ის რვეული ტრამვაიში დავკარგე...

— არ გამაგიყო! — ისე შევძახე, თითქოს ძლიერ მწყენოდეს. ავიტეხე ოხვრა, ფურთხება და ორჯერ-სამჯერ კედელსაც შემოვკარი მუშტი. ზურიკომ დამამშვიდა: ეგ არაფერია, თავს ხომ არ მოვიკლავო, ბოლოს კი დაიქადნა:

— ბოლოსდაბოლოს, იმ ლექსებს აღვადგენ!...

— კი, აღადგენ, — დავემოწმე ცალყბად და იგი წავიდა... მას შემდეგ, კარგა დრომ განვლო. ეს ამბავი გადამავიწყდა კიდეც. ზურიკოს აღარაფერი უთქვამს და მე ხომ არ ჩავაცივდებოდი.

ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ, შინ მივიჩქაროდი. ლიტერატურის კაბინეტთან ცხარედ მოსაუბრე წრის წევრები შევნიშნე. შევჩერდი.

— რაშია საქმე? — ვიკითხე.

ერთმა ხელისჩაქნევით მიპასუხა:

— არაფერი! აგერ ზურას ლექსების განხილვა იყო...

— განხილვა?! თქვენთან, წრეში? — წამოვიყვირე და იქაურობა მოვათვალიერე. ზურიკო არ ჩანდა. წასულა, დავასკვენი და მოსაუბრეს მივუბრუნდი:

— მერე?

— ჰო, რა მერე, — ჩაიცინა მან. — ეგ ლექსები ეშმაკის დაწერილს უფრო გავს, ვიდრე ადამიანისას...

ამ ხუმრობასა თუ სიმართლეზე ყველას ხარხარი აუვარდა. მართალი გითხრათ, უცებ ვერც მე შევიკავე თავი და გამეცინა... გამეცინა და, სწორედ მაშინ, კარებში ატუზულ ზურიკოს მოვკარი თვალი. იგი გაოცებული, გულდაწყვეტილი შემომცქეროდა...

გავშრი. გონწართმეულმა აღარ ვიცოდი რომელ ამხანაგს მოვფარებოდი. უცბად ერთ მათგანს ფეხი დავადგი. გამწარებულმა ხელი მკრა და მეც იატაკზე გავიშხლართე...

ის აღარ მახსოვს როგორ წამოვდექი.

მერე კი წამოდგომისთანავე ვცადე რაიმეს მოხერხება, თუმცა ვიგრძენი გაფრენილ ჩიტს მივდევდი ცარიელი ხელებით.

— არა, რატომ... მეც წავიკითხე ეგ ლექსები... ჩემი აზრით...

ამის გაგონებაზე ზურიკო კარებს მოშორდა, სწრაფად მომიახლოვდა.

— ნუ ქაქანებ, თუ ძმა ხარ! — მწარედ მითხრა და წავიდა...



ტექნიკის სამყაროში

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი

ეს საინტერესო იდეა კარგა ხანია დაებადათ მეცნიერებს, თანდათან გადალახული იქნა მთელი რიგი სიძნელეები და დღეს კაცობრიობისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი იდეის განხორციელების მიჯნაზე ვდგავართ — 1957-1958 წლებში განზრახულია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის აშვება.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი ზომით დიდი არ იქნება. ცხადია, მცირე მოცულობის ბურთში ძნელია მრავალგვარი საჭირო ხელსაწყოს მოთავსება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეცნიერები იძულებულნი არიან მინიმუმამდე შეამცირონ თანამგზავრის მოცულობა და წონა, რადგან დიდ სიმაღლეზე თითოეული კილოგრამი წონის ასატანად დიდი რაოდენობის საწვავია საჭირო.



თანამგზავრის ყოველი სანტიმეტრი მაქსიმალურად იქნება გამოყენებული: დაიდგმება მრავალი ხელსაწყო, რომლებიც აღრიცხავენ იმ მოვლენებს, რაც ცის უსაზღვრო სივრცეებში ხდება, შეაგროვებენ მეტეოროლოგიისათვის მეტად საინტერესო ცნობებს, დააკვირდებიან მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს და, ცხადია, ბევრ ისეთ მოვლენას „დაინახავენ“, რაც დედამიწიდან არ ჩანს — თანამგზავრი ჩვენთან შედარებით ხომ გაცილებით ახლოს იქნება ციურ სხეულებთან? თავის დაკვირვებებს რადიომიწყობილობა დედამიწაზე გადმოსცემს. ეს თავისებური ტრანსლაცია ზუსტი აპარატების საშუალებით დედამიწაზე იქნება ჩაწერილი. მრავალი ქვეყნის მეცნიერები განუწყვეტელ დაკვირვებებს მოახდენენ თანამგზავრზე, დააზუსტებენ გადმოცემულ ცნობებს.

თანამგზავრის ატყორცნა სპეციალური შუშხუნით არის გათვალისწინებული. იმისათვის, რომ იგი 500 კილომეტრის სიმაღლეზე იქნას ატანილი, საჭიროა ძალზე დიდი — სეკუნდში რვა კილომეტრამდე სიჩქარის განვითარება. მაგრამ ასეთი დიდი სიჩქარე, ატმოსფეროს ქვედა ფენებში ჰაერის წინააღმდეგობის გამო, თანამგზავრის გავარვარებასა და დაწვას გამოიწვევს. ამის თავიდან ასაცილებლად გადაწყვეტილია შეიქმნას სამი ერთმანეთზე ჩამოცმული შუშხუნისაგან შემდგარი ე. წ. „საჰაერო მატარებელი“. დედამიწიდან აფრენისას მატარებელს წაიყვანს ბოლო შუშხუნა. მას შედარებით ნაკლები სისწრაფე ექნება და ამიტომ თანამგზავრის გახურება თავიდან იქნება აცილებული. აიტანს რა „მატარებელს“ 20 კილომეტრის სიმაღლეზე, იგი ავტომატურად მოწყდება მას; მაშინვე მუშაობას დაიწყებს მეორე შუშხუნა, რომელსაც ბევრად უფრო დიდი სისწრაფე ექნება. მაგრამ ახლა ეს სისწრაფე თანამგზავრის გახურებას არ გამოიწვევს, რადგან, როგორც ცნობილია, ზედა ფენებში ჰაერი გათხელებულია და ამდენად ხახუნიც მცირეა. დახარჯავს რა საწვავის მთელ მარაგს, მეორე შუშხუნაც შეწყვეტს მუშაობას, ისიც მოწყდება „მატარებელს“ და ამით საშუალებას მისცემს მესამე შუშხუნას, მიაღწიოს საჭირო სიმაღლეს. ბოლოს კი, როდესაც მესამე შუშხუნაც ამოწურავს საწვავის მარაგს, თანამგზავრი უკვე მიაღწევს 400-500 კილომეტრის სიმაღლეს, სადაც ჰაერი ძალზე გათხელებულია. ამის შემდეგ თანამგზავრი, მიღებული სიჩქარის მეშვეობით, თვითონვე იბრუნებს დედამიწის გარშემო, რადგან იქ მას თითქმის აღარ დაბრკოლებს ჰაერის წინააღმდეგობა. თანამგზავრს დიდი სისწრაფე ექნება, იგი საათნახევარში შემოუვლის გარშემო დედამიწას, ისე სწრაფად გადაგვიქროლებს თავზე, რომ ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე სულ რაღაც თორმეტიოდე წუთის განმავლობაში გადივლის ცაზე. ასე იბრუნებს იგი დედამიწის გარშემო 10-12 თვის განმავლობაში, ხან 300 კილომეტრზე მოუახლოვდება ჩვენს პლანეტას, ხან კი 1.000 კილომეტრამდე. დამორდება მას. ბოლოს დედამიწის მიზიდულობის წყალობით თანდათან ძირს დაეშვება და, როდესაც საკმაოდ მოუახლოვდება ჩვენს პლანეტას, ჰაერის გახშირებულ მოლეკულებთან ხახუნის გამო თანდათან გავარვარდება და დაიფერფლება, ისე, როგორც ეს მეტეორიტებს მოსდით ხოლმე.



როგორც აღნიშნული იყო, თანამგზავრის ატყორცნა გათვალისწინებულია 1957-58 წლებში. შემდგომ, მეცნიერებს საშუალება მიეცემათ განახორციელონ უკვე დიდი ციური სადგურების მოწყობა, საიდანაც შესაძლებელი იქნება კოსმიური ხომალდების აშვება.

ადამიანის აზრი სულ წინ, უფრო და უფრო რთული პრობლემებისაკენ მიისწრაფვის. ახლა მეცნიერება კოსმიური მოგზაურობის ამ ერთ-ერთი ურთულესი პრობლემის გადაჭრისათვის იბრძვის. შეიძლება სულ მალე, ორიოდე ათეული წლის შემდეგ, ბევრი თქვენგანი, ჩვენი ახალგაზრდა მკითხველები, მთვარეზე გაფრენის მოწმე და შესაძლოა მონაწილეც გახდეს.

(ჟურნალ „იუნი ტეხნიკ“-იდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტელევიზორი

უთუოდ გემახსოვრებათ ზღაპარი ჯადოსნური სარკის შესახებ, რომელშიც ულამაზესმა ასულმა განსაცდელში მყოფი მზეჭაბუკი დაინახა და ცხრა მთას იქით მყოფს მაშველი რაზმი დაადევნა.

დღეს ხალხმა სინამდვილედ აქცია ზღაპარი ჯადოსნური სარკის შესახებ. ტელევიზორი, რომელიც ლათინური და ბერძნული სიტყვებისაგან: ტელე — შორს და ვიზორი — ხედვა — შედგება, ჩვენი საუკუნის საოცარ მიღწევას წარმოადგენს. მან სინამდვილედ აქცია ჩვენი წინაპრების ნაოცნებარი და შინ მყოფთ ტელემიმღების ეკრანზე დაგვანახვა ცოცხალი ადამიანი, რომელიც ისე გვესაუბრება, თითქოს ჩვენგან ათეული კილომეტრით კი არ იყოს დაშორებული, არამედ აგერ, იმ პატარა შუშის ეკრანის მიღმა იყოს და გვიღიმოდეს.

და აი, ეს საკვირველება, ადამიანის გონებამ რომ სინამდვილედ აქცია, ჩვენი თბილისის მშვენებაც გახდა და იგი მალე მრავალი თბილისელის ბინაში ისეთივე აუცილებელი იქნება, როგორიც რადიომიმღებია.

ჩვეულებრივი რადიომიმღები დღეს თითქმის არავისთვის არ არის უცხო და იქნებ კიდეც გაგიკვირდათ, როდესაც ჩვენი ჟურნალის ამ ფურცელზე თვალი მოჰკარით ლამაზ ყუთს (სურათი 1), რომლის ეკრანზე უთუოდ იცანით თქვენი საყვარელი მსახიობები გ. კუპრაშვილი და გ. დეისაძე ვახუშტისა და ნაცარქექიას როლებში. აი სწორედ ეს არის ის „ჯადოსნური სარკე", რომლის თეთრ-რძისფერ ეკრანზე შეგიძლიათ

ნახოთ არა მარტო მხატვრული ან დოკუმენტური კინოსურათი, არამედ უცქიროთ სცენებს თქვენი საყვარელი სპექტაკლებიდან, ნახოთ თანატოლების გამოსვლები და დაესწროთ კონცერტებს შინიდან გაუსვლელად.

დიაღ, შინიდან გაუსვლელად! ასე იყო პირველ საბავშვო სატელევიზიო გადაცემის დროსაც. არც ბილეთი გიყიდიათ იმ დღეს, არც თქვენი საბონემენტო სპექტაკლი იყო, თქვენ კი საკუთარ ბინაზე, შინიდან გაუსვლელად დაესწარით მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლს და უთუოდ ნასიამოვნებიც დარჩით.

ყოველ შემთხვევაში, ასე გვითხრეს ჩვენს ფოტოსურათზე აღბეჭდილმა პატარა მაყურებლებმა (სურათი № 2), რომლებიც გადაცემის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე შეკრებილიყვნენ მიმღების წინ და ეკრანზე გამოსახულ ცხრილს ისეთი მოუთმენლობით შესცქეროდნენ, თითქოს მის მაგივრად ელექტროშუქით გაჩირაღდნებული თეატრის ხავერდის ფარდები ყოფილიყო გადაშლილი...

სტუდიაში კი, სწორედ ამ დროს, მსახიობები ერთხელ კიდევ გადიოდნენ რეპეტიციას და გადაცემის რეჟისორი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დ. ცხაკაია საბოლოოდ აზუსტებდა მიზანსცენებს.

გადაცემის დაწყების დროც მოვიდა. მაგრამ ვიდრე სარეჟისორო პულტთან ადგილს დაიკავებდნენ მორიგე რეჟისორი, რეჟისორის ასისტენტი, ხმის რეჟისორი და ინჟინერი, სტუდიაში, გადამცემი კამერის წინ უკვე იდგა დიქტორი ა. მაჭავარიანი და იმეორებდა სადიქტორო ტექსტს. არც ისე ადვილია კამერის წინ ზეპირი ტექსტით გამოსვლა, მით უმეტეს, როდესაც მაყურებელს ვერ ხედავ, მაგრამ გრძნობ შენსკენ მზირალ ათიათასობით თვალს. (სურათი 3).

საათზე ისარი რვას გადასცილდა და პირველი საბავშვო გადაცემაც დაიწყო. ტელემიმღების ეკრანზე გამოჩნდა გამოსახულება, რომელიც







ოპერატორმა ა. სულამანიძემ სპეციალური ტელეკამერის საშუალებით (სურათი 4) სარეჟისორო პულტს მიაწოდა. გამოსახულება შემდეგ გადამცემ სააპარატოში მოხვდა (სურათი 5) და დავითის მთაზე აღმართული 180 მეტრიანი ლითონის ვეებერთელა ანძის მეშვეობით იგი უმალ ულტრა მოკლე ტალღებად გარდაქმნილი ეთერში გაიგზავნა...

და აი, როცა შენს ბინაზე მიმღები ამუშავდა, ეთერში გაგზავნილი ეს ტალღა, რომელსაც უნარი აქვს გავრცელდეს 100 კილომეტრის რადიუსით, მოხვდა შენი ტელემიმღების ანტენას და კვლავ ელექტროსხივად გარდაქმნილი, ეკრანზე შავი და თეთრი წერტილების გადაადგილებით, ბნელი და ნათელი ადგილების თანმიმდევრული ცვლით იქცა სწორედ ისეთივე გამოსახულებად, როგორც სტუდიაში იყო...

ათასობით თბილისელისა და ჩვენი დედაქალაქის ახლომდებარე რაიონების მცხოვრებთა ბინებში დადგმული ტელევიზორების ეკრანების წინ სულ უფრო და უფრო მატულობს მაყურებელთა რიცხვი. მათ უკვე ნახეს თბილისის ტელეხედვის სტუდიის პირველი გადაცემები, რომლებშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები, მწერლები, მსახიობები, საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების ხელოვნების ოსტატები.

ახლა ყოველი გადაცემა, როგორც წესი, საბავშვო პროგრამით იწყება, ხოლო კვირაობით პატარა მაყურებლებისათვის დამატებით ორსაათიანი გადაცემაა დანიშნული.

ბავშვებო, თქვენ ყველაფერი გაინტერესებთ: გინდათ იცოდეთ რას წარმოადგენს სამყარო, რა ხდება ოკეანის სიღრმეში, როგორ ცხოვრობენ თქვენი ტოლები უცხოეთში, გსურთ გაეცნოთ შორეულ ქვეყნებს. ტელევიზორის საშუალებით ყველაფერ ამას საკუთარი თვალით ნახავთ. გიტაცებთ თეატრი და გსურთ ნახოთ საყვარელი სპექტაკლები. ამ წადილსაც შეგისრულებთ და ხშირად გიჩვენებთ სცენებს დედაქალაქის თეატრების სპექტაკლებიდან. თქვენთვის, ნორჩი მაყურებლებისათვის სისტემატურად გამოვა სატელევიზიო ჟურნალი, დაახლოებით იმავე ფორმისა და შინაარსის, როგორიც კარგად ცნობილი რადიოგაზეთი „პიონერთა დაფიონია“. ამ ტელეჟურ-

ნალში მოთხრობილი იქნება მოსწავლეთა სწავლასა და შრომაზე, აგრეთვე ყველა საინტერესო საკითხზე — ბუნების მოვლენებსა და მსოფლიოს ქალაქებზე, სპორტსა და ლიტერატურაზე, მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებზე...

მას შემდეგ, რაც სტუდია მიიღებს მოძრავ სატელევიზიო სადგურს (ასეთი სადგური თავსდება ორ ავტომანქანაზე), დავიწყებთ სტუდიის გარეშე გადაცემებს, ანუ ისეთ გადაცემებს, რომლებიც მოეწყობა უშუალოდ თბილისის თეატრებიდან და საკონცერტო დარბაზებიდან; ამ მოძრავი სადგურის საშუალებით უბილეთოთ დარჩენილ ათასობით ფეხბურთის გულშემატკივარს შესაძლებლობა ექნება არა მარტო უსმინოს, არამედ უყუროს კიდეც ფეხბურთის მატჩს „დინამოს“ სტადიონზე.

ამჟამად მიმდინარეობს თბილისის სატელევიზიო ცენტრის მეორე რიგის დაპროექტება. წელსვე ჩაეყრება საფუძველი სატელევიზიო სახლის მშენებლობას საბურთალოზე, სადაც მუშავდება 600 კვადრატული მეტრი ფართობის დიდი სტუდია და სხვა დამხმარე სტუდიები. ასეთ სტუდიაში შესაძლებელია მოეწყოს არა მარტო მცირე მოცულობის დადგმები, რისი საშუალებაც ახლა გვაქვს, არამედ დაიდგას მთელი სპექტაკლები, გამოვიყვანოთ სიმფონიური და საესტრადო ორკესტრები, მომღერალთა გუნდები და ცეკვის ანსამბლები, მოვაწყოთ რთული სახის ტელეგადაცემები.

პარტიის მეოცე ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია ხუთწლედის ბოლომდე მოეწყოს სარელეო-მიმღები და გადამცემი სადგურები, რომელთა საშუალებით თბილისელ, და არა მარტო მათ, მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ პარადსა და დემონსტრაციას წითელ მოედანზე, ან მოსკოვის დიდი თეატრის რომელიმე სპექტაკლს, ნახონ ტელეხედვის ცენტრალური სტუდიის გადაცემები, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების — სომხეთისა და აზერბაიჯანის სტუდიების სატელევიზიო პროგრამები.

ჩვენი დროის ეს შესანიშნავი მონაპოვარი, რომლითაც სამართლიანად ამაყობს თანამედროვე კაცობრიობა, ჩვენი ქალაქის, ჩვენი რესპუბლიკის დამამშვენებელიც გახდა. ტელეხედვის სტუდიის მუშაკები, რომელთაც რთული და საინტერესო საქმე გვაკისრია, დიდი ამოცანების წინაშე ვდგავართ — უნარსა და ენერგიას არ დავიშურებთ, რათა მაყურებელს ყოველთვის საინტერესო და მომხიბვლელი პროგრამა ვუჩვენოთ.

ავთანდილ გაჩეჩილაძე,
თბილისის ტელეხედვის სტუდიის პასუხისმგებელი რედაქტორი.



სიტყვის მატიანე

ტრიუმფი

ამა თუ იმ პიროვნების დიდი საბრძოლო დამსახურებისათვის, უმაღლეს ჯილდოდ ძველ რომში, ტრიუმფი ითვლებოდა. ადამიანი რომ ტრიუმფის ღირსი გამხდარიყო, მას მაშინდელი გაგებით, დიდი საგმირო საქმეები უნდა ჩაედინა; თავის სახელმწიფოსათვის შემოემტკიცებინა რომელიმე სამფლობელო, ერთ-ერთ ბრძოლაში ხუთი ათასი მოწინააღმდეგე შეემუსრა და სხვა.

ტრიუმფი დიდი ზეიმით იწყებოდა: დაფნის გვირგვინით შემკული მხედართმთავარი, ჯარის თანხლებით, სპეციალურად აგებული ტრიუმფალური კარით შედიოდა ქალაქში. საზეიმო სვლას წინ სამხედრო დავლა და ბორკილგაყრილი ტყვეები მიუძღოდა. შესახვედრად გამოსული ხალხი მუსიკით და ყვავილებით ეგებებოდა გამარჯვებულებს. შემდეგ ხდებოდა სამსხვერპლო ხარების შეწირვა.

სახელწოდება „ტრიუმფი“ დაკავშირებულია რიცხვით სახელ სამთან. (ლათინურად სამი — თრი). რადგან ზეიმი სამი ნაწილისაგან შედგებოდა. (საზეიმო მსვლელობა, სამსხვერპლოს შეწირვა და ღრეობა).

პირველად, სიტყვა „ტრიუმფი“ მხოლოდ და მხოლოდ ასეთ ზეიმების მიმართ იხმარებოდა. შემდეგ, ეს სიტყვა პოლიტიკური, სამხედრო და საერთოდ ყოველგვარი დიდი ზეიმის აღმნიშვნელ სიტყვად გადაიქცა. ასე შემოვიდა ხმარებაში გამოთქმები: „ეს კაცი ტრიუმფის ღირსია“, „რა ტრიუმფია“, „ტრიუმფალური კარები“ და სხვა.

საჭადრაკო კონკურსი

მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი

ჟურნალი „პიონერი“ აცხადებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ღია საჭადრაკო კონკურსს.

კონკურსის მონაწილეებს ევალებათ ამოხსნან აქ მოთავსებული ამოცანები და ეტიუდები, საჭადრაკო პარტიებიდან ორ მოცემულ პოზიციაში მონახონ სწორი გაგრძელებები და გასცენ პასუხი დასმულ კითხვებზე.

სწორი ამოხსნისათვის დაწესებულია ქულობრივი შეფასება: ამოცანებში — ორ-ორი ქულა, ეტიუდებში — სამ-სამი ქულა, პოზიციებშიც — სამ-სამი ქულა. თითოეულ კითხვაში — 2 ქულა. ის, ვინც ჯამში ქულათა მეტ რაოდენობას დააგროვებს, გამარჯვებულად გამოცხადდება. პირველ ხუთ ადგილზე გამოსული ამომხსნელები დაჯილდოვდებიან ჟურნალ „პიონერის“ სიგელით და საჭადრაკო ლიტერატურით.

კონკურსის მასალები გამოგზავნეთ „პიონერის“ რედაქციაში, წარწერით: „საჭადრაკო კონკურსისათვის“. პასუხების გამოგზავნის უკანსკნელი ვადაა 1957 წლის 1 ოქტომბერი. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება ჩვენი ჟურნალის ნოემბრის (№ 11) ნომერში.

კონკურსის მსაჯია ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე.

ეტიუდი № 1.



თეთრები იწყებენ და იგებენ. (3 ქულა).

ეტიუდი № 2.



თეთრები იწყებენ და იგებენ. (3 ქულა).

ამოცანა № 1.



თეთრები იწყებენ და სამ სვლაში აცხადებენ შამათს (2 ქულა).

ამოცანა № 2.



თეთრები იწყებენ და სამ სვლ
ში აცხადებენ შამათს (2 ქულა)

ორი პოზიცია

1.



სვლა თეთრებისაა. მონახეთ თეთრების ეერიშის საუკეთესო გაგრძელება (3 ქულა).

2.



რამდენ სვლაში შეუძლია თე
რებს შავი მეფის დაშამათება?
(2 ქულა).

შეკითხვები

1. რომელ საუკუნეში და სად გამოიგონეს ჭადრაკი?
2. როდის და სად გაიმართა პირველი საერთაშორისო ტურნირი?
3. როდის და ვის შორის მოეწყო პირველი მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელზე?
4. ვინ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები და რომელ წლებში მეფობდნენ ისინი „საჭადრაკო ტახტზე“?
5. ვინ იყო მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ქალთა შორის?
6. როდის ჩატარდა ჩვენს ქვეყანაში პირველი საკავშირო ჩემპიონატი და ვინ გამოვიდა მასში გამარჯვებული?
7. რომელ წელს მოეწყო საქართველოს პირველი ჩემპიონატი?
8. როდის და ვინ გამოაქვეყნა ქართველი მოჭადრაკის ა. დადიანის შესახებ პირველი წიგნი?
9. ვინ იყო ა. ტროიცკი და მისი რომელი ნაწარმოები მოგწონთ?
10. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები: „ჭადრაკი გონების სასინჯი ქვაა?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზური ზღაპრები

როგორც ყოველი დროისა და ერის ზღაპრებში, აფხაზური ხალხური ზღაპრების ძირითადი მოტივიც კეთილისა და ბოროტის ბრძოლაა. აფხაზურ ფოლკლორშიც შეხვდებით თქვენთვის ნაცნობ ბანჯგვლიან დევებს, მოხერხებულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, როკაპ დედაბრებს, სისხლისმსმელ ბატონებს და კეთილ მზეთუნახავებს. აქვეა მოთავსებული ქართული ზღაპრების ამირანის („აბრსკილი"), ნაცარქექიას („თაჭკუმი") და სხვათა აფხაზური ვარიანტები.

წიგნის პირველ განყოფილებაში მოთავსებულია ზღაპრები ცხოველებზე. ბურდღუნა დათვი, ბოროტი მგელი, ცბიერი მელა, ეშმაკი კატა, სხვადასხვა ცხოველები და ფრინველები — აი, ამ ზღაპრების მოქმედი პირნი. თქვენ ამ განყოფილებაში განსაკუთრებული ინტერესით წაიკითხავთ ალბათ შემდეგ იგავ-ზღაპრებს: „ნიბლია და თაგვი", „მელიას ზნე", „კატა და თაგვები", „თიკანი, კრავი და ხბო". ნუ იქნები ზარმაცი, ნუ იქნები ხარბი, ნუ იქნები უმადური! — აი, რას გვასწავლიან ისინი.

შემდეგი განყოფილება ფანტასტიკურ ზღაპრებს აქვს დათმობილი. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა: „ირმის ვაჟი ჯამხუხი", „ნართსითას ვაჟი უახსითი", „აჟვეიფში", „ათამსკუაგუ", „ჰაიტი" და სხვები. ამავე განყოფილებაშია შესანიშნავი ლეგენდა სალამურის წარმოშობაზე („აჭარპანი") და ზღაპარი „ჭკუა და ბედი".

მესამე განყოფილებაში შესულია ნოველა-ზღაპრები და სატირული ზღაპრები. აქ თქვენ აუცილებლად დაგაინტერესებთ გონებამახვილი და გამბედავი ქალიშვილების თავგადასავალი („ბრძენი პატარძალი", „მოსამართლე და ღარიბი კაცის ქალიშვილი"), ასევე ამაღელვებელია ტყეში ხის ტოტზე ჩამოკიდებული კარშვის ამბავი („თავადი ნაჰარი"). სატირულ ზღაპრებში — „აშხამაჯი და აგამაჯი", „სულელი", „შარიდნი და მამასახლისი" — ხალხი დასცინის და სამარცხვინო ბოძზე აკრავს რეგვენებს, მშიშარებს, მექრთამეებს, მატყუარებს. გარეშე მტრების წინააღმდეგ მამაცური ბრძოლის ნათელი სურათია „მასრები".

ალ. სანაღირაძე

ღესინგის იგავები

წყლის გველი

ზევსმა ბაყაყებს ახალი მეფე დაუსვა: უწყინარი ჯირკის მაგივრად — გაუმაძღარი წყლის გველი.

— თუ გსურს ჩვენი მეფე იყო, — ყვიროდნენ ბაყაყები, — რატომ გვსანსლავ?!

— იმიტომ, — უპასუხა გველმა, — რომ თქვენ მე მომითხოვეთ მეფედ.

— მე არ მომითხოვიხარ! — წამოიყვირა ბაყაყმა, რომელსაც გველი უკვე თვალებით ჭამდა.

— არა? — უთხრა გველმა, — მით უარესი! მაშ, იმიტომ უნდა შეგსანსლო, რომ არ მოგითხოვივარ.



მელა და ვეფხვი

შენს სისწრაფესა და ღონეს, — უთხრა მელამ ვეფხვს, — უთუოდ ვისურვებდი.

—განა სხვა არაფერი გამაჩნია შენთვის სასურველი?

— ვფიქრობ, არაფერი!...

— არც ჩემი ლამაზი ბეწვი? — განაგრძო ვეფხვმა. — ის ხომ შენი ხასიათივით ჭრელია, და გარეგნობა მშვენივრად შეეხამებოდა შინაარსს.

— სწორედ მაგიტომ, — მიუგო მელიამ, — დიდ მადლობას მოგახსენებ მისთვის. მე არ უნდა გამოვიყურებოდე იმად, რაც სინამდვილეში ვარ. პირიქით, ვნატრობ ღმერთმა ინებოს და ჩემი ბეწვი ბუმბულად იქცეს.

გერმანულიდან თარგმნა კ. კარანაძემ.

საჩუქარი ავსტრალიიდან



დახმარება, ქველმოქმედება, მეგობრობა, ჯანმრთელობის დაცვა— აი ავსტრალიის წითელი ჯვრის საზოგადოების საერთო მიზანი. ამ დიდ, კეთილ საქმეში ქალაქ პიმბლას ქალთა კოლეჯის პატარებს თავიანთი წვლილი შეაქვთ.

★

ცხოვრების დუხჭირი პირობები ყველას როდი აძლევს საშუალებას მიიღოს ცოდნა, დაეუფლოს მეცნიერებას. ავსტრალიის ადგილობრივი ტომების ბავშვები, რომელთაც ცოტაოდენ მაინც გაუღიმა ბედმა და სკოლაში ჩაირიცხნენ, წუთს არ კარგავენ და გატაცებით უსმენენ მასწავლებელს.



დღეს, დედამიწის ხუთივე მატერიკის ბავშვები ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იბრძვიან და თავიანთი წვლილი შეაქვთ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების დიად საქმეში.

ამის საუკეთესო დადასტურებაა თუნდაც ის პაწია ფაქტი, რომ ყველა ქვეყნის საბავშვო ორგანიზაციების ერთმანეთთან მეგობრული მიმოწერა და ბოლოს საერთაშორისო პიონერულ ბანაკებში დაუვიწყარი შეხვედრები აკავშირებთ.

ამას წინათ, თბილისის პირველმა სკოლამ შორეული ავსტრალიის სამხრეთის ახალი უელსის, ქალაქ პიმბლას ქალთა კოლეჯის მოსწავლეთა წითელი ჯვრის ორგანიზაციისაგან ძვირფასი საჩუქარი — ალბომი მიიღო.

აი რას იწერება ქ. პიმბლას წითელი ჯვრის ორგანიზაციის სახელით ეოზეფინა კორნიში — „ქალთა კოლეჯის წევრებმა, ალბომის შესადგენად ცოტა დრო როდი დახარჯეს. იმედი გვაქვს, ეს ალბომი ჩვენი სკოლის წითელი ჯვრის ორგანიზაციის და ჩვენი შესანიშნავი ქვეყნის შესახებ საერთო წარმოდგენას მოგცემთ.



✪

ავსტრალიის მკვიდრ ტომებში გავრცელებულია ლეგენდა, რომლის მიხედვით უნგურნინა იყო ბოროტი სული, კენგურუ — ადამიანი. უნგურნინა სამჯერ შეჭამეს ძალლებმა, როცა იგი ბოროტი ზრახვით ადამიანთა სადგომებს ეპარებოდა, მაგრამ იგი მაინც გამოცოცხლდა. ბოლოს, მთვარიან ღამით, ავსტრალიელმა მონადირემ შუბით განგმირა უნგურნინა. სურათი მოგვითხრობს ნადირობის ამ მომენტის შესახებ.

✪

✪

არა, არავითარ ბოროტ ძალას არ შეუძლია შეარყიოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბავშვთა მეგობრობა, იმ ბავშვებისა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ერთ მთლიან, ძმურ ოჯახში და თავისი წვლილი შეაქვთ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების დიდ საქმეში.

✪

ჩვენ გვჯერა, რომ ეს ალბომი, ჩვენი სკოლების მტკიცე მეგობრობის, ურთიერთგაგების და შემდგომი დაახლოების საწინდარი იქნება".

ქართველი მოსწავლეები ვალში არ დარჩებიან თავიანთ ავსტრალიელ მეგობრებს. თბილისელები სულ მალე შეადგენენ ასეთსავე ალბომს და ქ. პიმბლას მოსწავლეებს საჩუქრად გაუგზავნიან.

მათი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება.

→

სულ მალე, ავსტრალიის შორეული რაიონების ბავშვები საჩუქრად მიიღებენ პიმბლელ ავიომოყვარულთა მიერ დამზადებულ თვითმფრინავის მოდელებს.

✪

ავსტრალია. სამხრეთის ახალი უელსის დედაქალაქ სიდნეის ხედი.

↓



ამ პაწია, უსუსურ ბატკნებს დედის რძე არ ყოფნით. შიმშილით შეწუხებულებს მზრუნველი გამოუჩნდა. პატარა ბიჭუნას რძით სავსე ბოთლზე საწოვარა წამოუგია და ისე ასვლეპინებს რძეს ბეკეკებს.

თ. სახაროვი

✪

ფოტო-სურათები ამოღებულია ავსტრალიიდან საჩუქრად გამოგზავნილი ალბომიდან.

ქარის ძრავას მოდელი



ნახ. 1

უკვე დიდი ხანია, რაც ადამიანმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ქარი. მას მოძრაობაში მოჰყავდა წისქვილები, მიაცურებდა იალქნიან გემებს, მიწის სიღრმიდან ქაჩავდა წყალს. და აი ახლაც, ატომის საუკუნეში, ქარი კვლავ დიდ დახმარებას გვიწევს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მრავლად მუშაობენ ქარის ძრავები; მათი საშუალებით ქაჩავენ წყალს ფერმებისათვის, ფქვავენ მარცვლეულს...

ძრავას საერთო ხედი მოცემულია ნახ. 1-ზე. ხის მაღალ კოშკზე დამაგრებულია ძრავას მოძრავი ნაწილი — სამფრთიანი ლილვი და კუდი. კოშკის ქვედა ნაწილი აგებულია პირამიდისებურად. ეს მას მეტ მდგრადობას აძლევს. ფრთები ყოველთვის ქარის საწინააღმდეგოდ უნდა იქნეს მიშვერილი, მაგრამ ქარი ხომ ხშირად იცვლის მიმართულებას?! ამისათვის ფრთებიანი ლილვი უნდა დამაგრდეს საბრუნებელ ბოლოზე. გრძელი, ბადისებური კუდი ფანერის დიდი ნაჭრით ბოლოვდება. როცა ქარი მიმართულებას შეიცვლის იგი დაუბერავს ფანერის კუდს და ფრთებიან ლილვს საჭირო მდგომარეობაში დააყენებს.

მოდელის ასაგებად საჭიროა ხის 10 ძელაკი, რომელთა კვეთილობა 2×2 სმ უდრის, სიგრძე კი —300 სმ; ასეთივე კვეთილობის 30 ძელაკი — თითოეული 180 სმ ტოლი; 3-5 მმ. სისქის ფანერის ნაჭრები; 2 სმ.-იანი ლურსმნები; ცოტაოდენი თუნუქი (შეიძლება კონსერვის კოლოფიც გამოიყენოთ); 4 მმ.-იანი 100 სმ. სიგრძის რკინის მავთული; ხის წებო და ზეთის საღებავი. ინსტრუმენტებიდან საჭირო იქნება ხერხი, რანდა, ჩაქუჩი, ბრტყელტუჩა, დანა, მახათი, მაკრატელი და ფუნჯი.

დიდი ზომის მოდელის ასაგებად უმჯობესია ჩამოყალიბდეს სამი ბრიგადა, თითოეული 3-4 კაცის შემადგენლობით. ერთი ბრიგადა ააგებს კოშკს, მეორე — ქარის ძრავას ბადისებურ ბოლოსა და კუდს, მესამე — სამფრთიან ლილვს.

კოშკის აგება

ნახ. 2 წარმოადგენს კოშკის შიდა მხარის სურათს.

გვერდის ძელაკები — ქვედა (1) და ზედა (2)— სიგრძით 300 სმ-ია. განივი ძელაკები (10) გადაჭერით თითო 46 სმ სიგრძის, ასეთი ძელაკი კოშკის ერთი მხარისათვის 5 ცალია საჭირო.

კოშკის ქვედა ნაწილის ძელაკები (1) საჭიროა განლაგდეს ისე, რომ მათი ქვედა ბოლოები ერთმანეთს 120 სმ-ით დაშორდნენ, ხოლო ზედა—46 სმ-ით. ერთი პატარა განივი ძელაკი (10) მოათავსეთ გვერდითი ძელაკების ზედა ბოლოებს შორის. კოშკის ქვედა ნაწილის შუაში მოათავსეთ განივი მოზრდილი ძელაკი (12).

საჭიროა გამოჭრათ ფანერის სამაგრები (11, 15). მათი ფორმა გარკვევით



ნახ. 2



ნახ. 3.

ჩანს ნახაზზე. პირველად 25 სმ. სიგანის სამაგრი (11) გვერდითი ძელაკების ზედა ნაწილებს მიაჭედეთ, შემდეგ კი გვერდითი ძელაკები დააკავშირეთ სამაგრებით (15) განივ ძელაკებზე (12). ასევე დააკავშირეთ სამაგრებით (14) ორკაპები (13) განივ და გვერდითი ძელაკებზე.

კოშკის ზედა ნაწილი ააგეთ ასევე ნახ. 2-ის მიხედვით. ზედა სამაგრის (18) სიგანე 10 სმ-ია.

ანალოგიურად მზადდება კოშკის მეორე მხარე.

კოშკის დანარჩენი ორი მხარისათვის მოამზადეთ გარდი-გარდმო კავშირებისა და სამაგრების კომპლექტი. განივი ძელაკები მათ არ სჭირდება: კოშკის კედლები საჭიროა მიეჭედოს უკვე გამზადებული მხარეების გვერდითი ძელაკებს.

კოშკის ზედა ნაწილზე (ნახ. 3) მიაჭედეთ ფანერის ნაჭერი (8). მის ცენტრში საჭიროა გაკეთდეს ნახვრეტი 7 სმ-ის დიამეტრით. ზევიდან, ნახვრეტთან ახლოს მიაჭედეთ ოთხი პატარა ძელაკი, რომელთა შიდა წიბოები აუცილებლად უნდა ეხებოდეს ნახვრეტის ნაპირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძელაკების შიდა ნაწილები ასევე აუცილებლად უნდა დაიფაროს თუნუქის ფირფიტებით, ისინი საკისარების როლს შეასრულებენ კოშკის მოძრავი ნაწილის ღერძისათვის (5); (ნახ. 4).

კოშკის მოძრავი ნაწილის საკისარის საყრდენი ბაქანი (9) (ნახ. 3) დაამზადეთ ფანერის ორი ნაჭრისაგან, რომელთა შორის უნდა მოთავსდეს პატარა ძელაკების ჩარჩო. ბაქანის შუაგულში მიაჭედეთ თუნუქის ორი ფენის რგოლი. მის ცენტრში გააკეთეთ, 0,5 სმ. დიამეტრის მქონე ნახვრეტი, (ნახვრეტი ფანერებშიც უნდა გადიოდეს).

კოშკის აგება დამთავრებულია.

კოშკის მოძრავი ნაწილის აგება

მოძრავი ნაწილის აგებულება ნაჩვენებია ნახ. 4-ზე. მუშაობა ღერძის (5) დამზადებით დაიწყეთ. აიღეთ ოთხი ძელაკი სიგრძით 170 სმ. და შეაკავშირეთ ისინი ლურსმნებით ერთ მთლიან, კვადრატულ ძელაკად — მიიღება გამძლე დერტალი —ვერტიკალური ღერძი.

ღერძის ზედა ბოლოდან 70 სმ. დაშორებით დაამაგრეთ პაწია ძელაკებისაგან შემდგარი ზედნადები (20), რომელიც დაამუშავეთ ისე, რომ 4 სმ. სიმაღლის ცილინდრი მიიღოთ. ზედნადებს თუნუქის ფირფიტა (21) შემოაკარით.

ღერძის ქვედა ნაწილი წათალეთ ისე, რომ მისი ცენტრი ოდნავ ამობურცული დარჩეს, შემდეგ კი პატარა ნახვრეტიანი თუნუქით დაფარეთ. ეს საჭიროა ხახუნის შესამცირებლად.

ასე იწყება მოძრავი ნაწილის აგება. მისი წინა მხარე, რომელიც ხრახნს ამაგრებს, მოკლეა, სიგრძით 60 სმ.-ია. მისი ორივე კოჭი (22) გაამზადეთ ორი ერთმანეთზე მიჭედებული ძელაკისაგან. ეს კოჭები (22) მიამაგრეთ ღერძს (5) ფანერის სამაგრებით (26). ასევე მიამაგრეთ კოჭები წინ სამაგრით (23), მაგრამ ისე, რომ მათ შორის დარჩეს ადგილი ფრთებიანი ლილვის გასატარებლად.

ამავე ნახაზზე მოცემულია კიდევ ერთი დეტალი (24). ეს საკისარია ფრთებიანი ლილვისათვის. იგი დაამზადეთ 4 მმ. მქონე დიამეტრის მავთულისაგან. მავთულის ბოლოები დაამაგრეთ კოჭებზე (22), ისე როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე.

ფრთებიანი ნაწილის ბოლო მხარე ააგეთ ძელაკებით, რომელთა კვეთილობა 2×2 სმ. იქნება. გარეთა ძელაკები (3) სიგრძით 180 სმ.-ია და ერთმანეთს უკავშირდება გარდი-გარდმო და განივი ძელაკებით ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე.

ქარის დასაწოლი კუდი (4) დაამზადეთ ფანერისაგან. ბოლო მხარის ძელაკები (3) სისქით 2 სმ.-ია, ხოლო სამაგრებს (26) შორის მანძილი —4 სმ. იმისათვის, რომ ბოლო მხარის ნაწილები შეუერთდეს სამაგრებს (26), საჭიროა ძელაკების ბოლოებზე მიაჭედოთ ზედნადები (25), რომლის კვეთილობა იქნება 2×1 სმ.



ნახ. 4

ფრთების აგება

ფრთები შედგება ფანერის სამი ფირფიტისაგან, ისინი ერთმანეთის მიმართ 120 გრადუსით არიან განლაგებული. ფრთების საერთო ხედი მოცემულია ნახ. 1-ზე. ხოლო მისი დეტალები — ნახ. 5-ზე.

ლილვისათვის (7) გარანდეთ 75 სმ. სიგრძის და 4 სმ. დიამეტრის მრგვალი ჯოხი. მის წინა ნაწილზე მოაწყვეთ ფირფიტებიანი ძელაკების სამაგრი. ეს სამაგრი ფანერის ორი სამკუთხედისაგან (27) შედგება; კუთხეები წაკვეთილი აქვს. სამკუთხედებს შორის ლურსმნებით მიამაგრეთ ფირფიტებიანი ძელაკების ბოლოები (28). ამ ძელაკების სიგრძე 150 სმ-ია, ისინი წინდაწინ უნდა დამუშავდეს რანდით ისე, რომ მიიღოთ ფანერის ფირფიტების დასაკრავად საჭირო დახრილობა — 45 გრადუსი. ეს დახრილობა ძელაკის სათავის გვერდითი მხარიდან იწყება და ბოლოსკენ თანდათან მცირდება 15 გრადუსამდე.

ფანერის ფირფიტები სათავეში 10 სმ სიგანისაა, ხოლო ბოლოსაკენ იკლებს 8 სმ.-მდე.

ფრთებიანი ლილვი (7) დაამაგრეთ პატარა ძელაკების (29) საშუალებით. ასეთივე ძელაკები, მეტი სიმაგრისათვის, შეიძლება წინიდანაც მოეწყოს.

იმ ადგილას სადაც ლილვს გარს უვლის საკისარი, ხახუნის შემცირების მიზნით, საჭიროა შემოვახვიოთ თუნუქის მილი (30).

ლილვის თავისუფალ ბოლოს შუაგულში ჩაარჭეთ მსხვილი, უთავო ლურსმანი ისე, რომ იგი 6-სმ-ზე გამოშვერილი დარჩეს. ამ ბოლოთი ლილვი მაგრდება ვერტიკალური ღერძის საკისარში (31), (იხ. ნახ. 4).

იმისათვის, რომ ფრთებიანი ლილვი არ გამოვარდეს საკისარიდან, აწყობის დროს მასზე წამოაგეთ ფანერის რგოლი და ორი ლურსმნით მიაჭედეთ. ეს შეაჩერებს ლილვის წინ გამოვარდნას.



ნახ. 5

ნ. მიჯროფანოვი
ნ. მ. შვერნიკის სახელობის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ლაბორატორიის გამგე.

ვ. ბიანკი

ბუ

ნახ. გ. დიკისა

იჯდა ბერიკაცი და ჩაის სვამდა, ჩაიში რძეს ისხამდა. გვერდით ბუმ ჩაუქროლა.

— გამარჯობა, მეგობარო! — გადმოსძახა ბუმ.

ბერიკაცმა კი მიაძახა:

— ეი, შენ, თავზე ხელაღებულო ყურაქვიტავ და ნისკარტკაუჭავ! ყველას რომ ემალები, მზე ვერ აგიტანია, განა ადამიანი შენი მეგობარია!

გაბრაზდა ბუ.

— კარგი, ბერიკაცო! რაკი ასეა, ღამღამობით აღარ მოვალ შენს მდელოზე თაგვების დასაჭერად, შენ თვითონ დაიჭირე!

ბერიკაცმა მიუგო:

— ოჰოჰო! ამით გინდა შემაშინო? გასწი, გამეცალე, მდელო დამიცალე!

გაფრინდა ბუ, შეძვრა მუხის ფუღურაში და იჯდა და იჯდა შიგ, გარეთ აღარ გამოდიოდა.

დაღამდა. ბერიკაცის მდელოზე თაგვები სოროებში წრიპინებენ, ერთმანეთს ეზრახებიან:

— თუ ხარ ჩემი მეგობარი, ბუ ხომ არ ჩანს მეკობარი?

თაგვმა თაგვს უპასუხა:

— ჩვენი მტერი ვერაგი არსად გამოჩენილა! მდელო დღეს სულ ჩვენია, — ის არ გადარჩენილა!

ამოცოცდნენ თაგვები სოროებიდან, მდელოს მოედვნენ ყოველი მხრიდან.

ბუმ ფუღურაში დაიროხროხა:

— ხო-ხო-ხო, ბერიკაცო! საქმე არ გაგიფუჭდეს: ამბობენ, თაგვები სანადიროდ წავიდნენო.

—წავიდნენ, მერე მე რა?! — თქვა ბერიკაცმა. — ნეტავი რას წუწუნებ, საქმე შემოგელია? წრუწუნა რას დამაკლებს — თაგვი განა მგელია?!

მოედვნენ მდელოს თაგვები, კელების ბუდეებს ეძებენ, მიწას თხრიან, კელებს იჭერენ.

ბუმ ფუღურაში დაიროხროხა:

— ხო-ხო-ხო, ბერიკაცო! საქმე არ გაგიფუჭდეს: შენი კელები სხვაგან გაფრინდნენ.

— გაფრინდნენ, მერე მე რა? — თქვა ბერიკაცმა. — განა რა დამაკლდება — კელა რის მაქნისია? ვის უნახავს ან თაფლი, ანდა ცვილი მისია?!

მდელოზე იონჯა ბიბინებდა. კელები აზუზუნდნენ, მდელოს გადაუფრინეს, იონჯას არც კი შეხედეს, აღარ გადაჰქონდათ მტვერი ყვავილიდან ყვავილზე.

ბუმ ფუღურაში დაიროხროხა:

— ხო-ხო-ხო, ბერიკაცო! საქმე არ გაგიფუჭდეს: შენ თვითონ არ მოგიხდეს მტვრის გადატანა ყვავილიდან ყვავილზე.

— ქარი გადაიტანს, — თქვა ბერიკაცმა, თან კისერი მოიფხანა.

მდელოზე ქარი ქროდა, ყვავილების მტვერს მიწაზე ყრიდა. არ ხვდებოდა მტვერი ერთი ყვავილიდან მეორეზე, აღარ ბიბინებდა იონჯა მდელოზე. დაღონდა ბერიკაცი.

ბუმ ფუღურადან დაიროხროხა:

— ხო-ხო-ხო, ბერიკაცო! შენი ძროხა ბღავის — იონჯა მომეციო: ბალახი უიონჯოდ იგივეა, რაც ფაფა უერბოოდ.

დუმს ბერიკაცი, არაფერს ამბობს.

იონჯით გასუქებული ძროხა დამჭლევდა, გახდა, იმდენ რძეს აღარ იძლეოდა, მისი რძე წყალწყალა გახდა.

ბუმ ფუღურაში დაიროხროხა:

— ხო-ხო-ხო, ბერიკაცო! ხომ გეუბნებოდი: ჩემთან მოხვალ, შემეხვეწები-მეთქი.

ბუზღუნებს ბერიკაცი, საქმე კი სულ უკან-უკან მიდის. ბუ მუხის ფუღურაში ზის, თაგვებს არ იჭერს. თაგვები მდელოზე თარეშობენ, კელების ბუდეებს ეძებენ. კელები სხვა მდელოებს დასტრიალებენ, ბერიკაცის მდელოს არ ეკარებიან. მდელოზე იონჯა აღარ იზრდება, ძროხა უიონჯოდ მჭლევდება და ცოტა რძეს იძლევა — ბერიკაცს ჩაიში ჩასარევი რძე აღარა აქვს.

აღარ აქვს ბერიკაცს ჩაიში ჩასარევი რძე — ადგა და ეახლა ბუს, შეევედრა:

— ჩემო კარგო ბუ, დამიხსენი გაჭირვებისაგან, ჩაიში ჩასარევი რძე აღარა მაქვს!

ბუმ ფუღურაში თვალები დააბრიალა, თავი მიატრიალ-მოატრიალა და თქვა:

— ხომ ხედავ, ბერიკაცო? ეს სიბრძნე ძველია: ერთად ადვილია, ცალ-ცალკე ძნელია! შენ გგონია, მე კი არ მიჭირს, შენს თაგვებს რომ მივანებე თავი?!

აპატია ბუმ ბერიკაცს დანაშაული, გამოძვრა ფუღურადან, გაფრინდა მდელოზე თაგვებისათვის თავზარის დასაცემად, მათ დასაჭერად.

დამფრთხალი თაგვები სოროებში მიიმალნენ.

აზუზუნდნენ კელები მდელოზე, ყვავილიდან ყვავილზე მიფრინავდნენ.

იონჯა აბიბინდა მდელოზე.

ძროხა გაეშურა მდელოზე იონჯის მოსაძოვად.

ბევრი რძე გამოიწველა ძროხამ.

დაიწყო ბერიკაცმა ჩაიში რძის ჩასხმა, ბუს ქების შესხმა, სტუმრად ეპატიჟებოდა, გულუხვად უმასპინძლდებოდა.

თარგმნა **შ. თაბუკაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო აღმოჩენა

ამას წინათ ერთმა არქეოლოგმა, მექსიკის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ ძველ პირამიდაში, შენიღბული კარები აღმოაჩინა. ორი თვის შრომის შემდეგ კარები როგორც იქნა გახსნეს და მეცნიერის წინაშე ბნელით მოცული დერეფანი გამოჩნდა, ამ დერეფანმა მკვლევარი კიდევ ერთ დახშულ კარამდე მიიყვანა, რომლის წინ, ალბათ მსხვერპლად შეწირული, შვიდი ახალგაზრდის ჩონჩხი ეყარა. ჩამოაცილეს შესასვლელს ქვის ლოდები და აკლდამაში შესულთ, საოცარი ნიღბით სახედაფარული ადამიანი წარმოუდგათ თვალწინ. ერთ-ერთი წარწერის საშუალებით გამოირკვა, რომ დაკრძალვა 683 წელს, ე. ი. 1263 წლის წინათ მომხდარა. ცხადი გახდა, რომ აკლდამაში ვიღაც დიდებული იყო დაკრძალული. მისთვის დიდი, 22 მეტრის სიმაღლის პირამიდა აუგიათ, რომლის ასაშენებლად მრავალი წლის განმავლობაში ათასობით მონების შრომა იყო ალბათ გამოყენებული. მიცვალებულის სახე სიკვდილისთანავე თაბაშირით დაუფარავთ და მასზე წვრილ-

წვრილი ქარვის კენჭები დაუწებებიათ. თვალების ადგილზე კი ვულკანური ქვა,-ობსიდიანი ჩაუსვამთ. ასე მოვიდა ჩვენამდე ნიღ:ბი, რომელიც ზუსტად აღადგენს მიცვალებულის სახის გამომეტყველებას. კიდევ ბევრი სხვა რამ იყო აკლდამაში საინტერესო, მაგრამ მეცნიერთა ყურადღება უპირველესყოვლისა თვით ქარვამ მიიქცია. საქმე იმაშია, რომ ამერიკაში ქარვა :რ მოიპოვება. ქარვის საბადოები, მხოლოდ ევროპაში, ბალტიისპირეთში გვხვდება. როგორ ან საიდან მოხვდა ქარვა ამერიკაში თორმეტი საუკუნის წინად? ხომ არ ლაპარაკობს ეს, რომ ჯერ კიდევ კოლუმბამდე ამერიკისა და ევროპის მოსახლეობას შორის მიმოსვლა და გაცვლა-გ:მოცვლა სწარმოებდა? შესაძლებელია, ინდიელთა ძველი მითი, წვერებიანი თეთრი ღმერთების შესახებ,

რომლებიც გემებით მოცურდნენ მათთან და შემდეგ ისევ უკან აღმოსავლეთისაკენ გაბრუნდნენ, სწორედ ევროპელებს გულისხმობდეს.

ახლა, როდესაც მოხერხდა მექსიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ინდიელთა ძველი წარწერების წაკითხვ:, მეცნიერებს საშუალება მიეცათ გამოარკვიონ, არსებობდა თუ არა უძველეს დროში რაიმე კავშირი ევროპასა და ამერიკას შორის და რა ხასიათი ჰქონდა ამ ურთიერთობას.

უცნაური წვიმა

ამერიკის ქალაქ დევენპორტში 1954 წლის 7 და 8 აპრილს შეუწყვეტლად წვიმდა. ამაში, რასაკვირველია, არაფერია უჩვეულო. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ დილით სახლები, ღობეები, ავტომანქანები და ღია ცისქვეშ მყოფი ყველა საგანი მოცისფრო ლაქებით იყო დაფარული.

გავრცელდა დაუჯერებელი ხმები. გაზეთები წერდნენ, რომ, როგორც ჩანს, ქარს საიდანღაც მოუტანია და ქალაქში გაუფანტია წვიმისაგან გახსნილი საღებავი; ზოგნი კი ირწმუნებოდნენ: ეს ლაქები სხვა არაფერია, თუ არა მიკროსკოპული ცხოველებიო.

ბოლოს ქალაქის ხელისუფლებმა სპეციალისტებს გამოუძახეს. ბიოქიმიკოსებმა დაადგინეს, რომ ცისფერი ლაქები წარმოადგენდნენ ამერიკული ჩინარისა და თელას ფქილს, თურმე იმ გაზაფხულზე ჩინარები და თელები არაჩვეულებრივ ხვავიანად ჰყვაოდნენ. ფქილის ღრუბლები ძლიერმა ქარმა მაღლა აიტაცა და, როცა წვიმა მოვიდა, ფქილი ლაქებად დაესხურა მიწას და სხვადასხვა საგნებს. ლაქების მოცისფრო ფერი კი შემდები პიგმენტის არსებობით იქნა ახსნილი.

ათიათასი მეტრის სიღრმეზე

დახედეთ ნახევარსფეროების რუკას: ჩვენი სამშობლოს შორეული აღმოსავლეთის ნაპირებს, კარელიის კუნძულებსა და კამჩატკის ნახევარკუნძულს გასწვრივ მუქლურჯი ზოლი გასდევს. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი უღრმესი ადგილი — კარელო-კამჩატკის ღრმულია, რომლის უღრმესი ნაწილი თითქმის 10382 მეტრს აღწევს.

დღემდე გაბატონებული იყო აზრი თითქოს დიდ სიღრმეზე, წყლის კოლოსალური წნევისა და მუდმივი, უკუნი სიბნელის გამო, სიცოცხლე შეუძლებელია. საბჭოთა ოკეანოლოგების გამოკვლევებმა ნათელყვეს ამ მოსაზრების მცდარობა.

წლების განმავლობაში სერავს ოკეანის სივრცეებს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გემი „ვიტიაზი“. უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საბჭოთა მეცნიერები სწავლობენ წყნარი ოკეანის სიღრმეებს.

...ბადეს უკეანის სიღრმიდან ამოაქვს ათასგვარი, აქამდე უცნობი თევზი. ოკეანის ფსკერიდან ამოღებული შლამიც კი სავსეა ცოცხალი ორგანიზმებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ცოცხალი არსება, როგორც კი მას თავის ადგილსამყოფელს მოაცილებენ, იღუპება.



მეცნიერთა დაკვირვებებით საბოლოოდ დადგინდა, რომ ოკეანისათვის უღრმეს ადგილებშიც კი სიცოცხლე არსებობს. ამით ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ცოცხალ ორგანიზმებს აქვთ საოცარი უნარი ყოველგვარი პირობების შეგუებისა.

ოინბაზი გველი — დაზიპელტისი

ოინბაზი გველი — დაზიპელტისი აფრიკაში ცხოვრობს, მას „კვერცხების შთანთქმელს“ ეძახიან. იგი სიგრძით 70 სანტიმეტრს აღწევს, სიმსხო კი თითს არ აღემატება.

თუ შემთხვევა მიეცა, დაზიპელტისი უარს არ იტყვის ქათმის ახალდადებულ კვერცხის შეჭმაზე. როგორ შესძლებს ასეთი წვრილი გველი ქათმის კვერცხის გადაყლაპვას, როდესაც კვერცხი მის ხასასთან შედარებით რამდენჯერმე დიდია? სწორედ ამაში მდგომარეობს მთელი მისი „ოინბაზობა“ — მის პირის ღრუს უნარი აქვს განუზომელად გაიწელოს. გველის ქვედა ყბა, სახსრების ელასტიურობის წყალობით, დიდ მანძილზე სცილდება ზედა ყბას. ეს თავისებური ყბები შველის დაზიპელტისს დიდი ლუკმის ჩაყლაპვაში, ამ ოპერაციაში 5 თუ 6 პატარა კბილი მას ხელს არ უშლის. ამასთან მისი მანიპულაციები საოცრად ფანტასტურია. კვერცხი თანდათანობით საყლაპავისკენ მიიწევს, რომელიც სივდება და ჰაეროვანი ბუშტივით „იბერება“. შემდეგ მოძრაობაში მოდის „რკინის მარწუხები“ — დაზიპელტისის წინა მალები. ისინი აწვებიან კვერცხს, ნაჭუჭი ტყდება და მისი სასიამოვნო შემადგენლობა კუჭში გადადის... ნაჭუჭი კი უკანვე ბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთი ყველასათვის...



ჟურნალ „სმენადას“.



ერთხელ ზურიკო დაღონებული მოვიდა სკოლიდან. დედამ წუხილის მიზეზი ჰკითხა.

— დედა, ორჯერ-ორი ყოველთვის ოთხია?

— ჰო, რატომ მეკითხები, გენაცვალე?

— აბა მე ორჯერ მივიღე ორი და რატომ მითხრა მასწავლებელმა, მეოთხედის ბოლოს ორი დაგრჩებაო?!



ნახატი — ხუმრობა ვ. ნიკოლაიშვილისა

ვერ დაინახა



საქ. სახელმ. საჯარო ბიბლიოთეკა

ბაზრიდან დაბრუნებულმა დედამ შენიშნა, რომ კარადაში ერთი მსხალი აკლდა.

იმწამსვე ზურიკოს ჰკითხა:

— ზურიკო, კარადაში სამი მსხალი დავტოვე, ახლა კი ორია, რატომ?

— სიბნელე იყო და სხვები ვერ დავინახე. — იმართლა თავი ზურიკომ.

ტექსტი ა. თაყაიშვილისა

უკუთხო სახლი

ერთხელ პატარა ზურიკომ ჰკითხა მამას:

— მამიკო, ისეთი სახლი არ არსებობს, რომ კუთხე არ ჰქონდეს?

— არა, შვილო. უკუთხო სახლებს არ აშენებენ.

— ეჰ, ნეტავ ყოფილიყო.—ინატრა ზურიკომ.

— რატომ, გენაცვალე?

— რატომ და დედა ვერასდროს მეტყოდა: წადი, კუთხეში დადექიო.



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 2 მ.

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. № 3 195
Тбилиси, Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—8

უე 01227, ტირ. 16.000, ხელმოწ. დასაბ. 30/III-57 წ. სტამბის შეკვ. № 202, გამომც. შეკვ. № 1
ბ/კომბინატი „კომუნისტი“. გარეკანი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



გასართობი



კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 4. თევზის ჯიში; 8. ყველაზე გრძელი დისტანცია სირბილში; 9. XIX საუკუნის ქართველი დრამატურგი; 11. ნაგებობა; 12. სახელმწიფო აზიაში; 13. ქალაქი დასავლეთ გერმანიაში; 16. ხერხი, ანუ?; 17. საბჭოთა საბავშვო მწერალი; 19. ყურძნის ასხმულა; 21. მჭედლის ხელსაწყო; 22. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 23. ქალაქი იტალიაში; 24. პროვინცია ძველ საქართველოში; 28. ისტორიული ძეგლი გორის რაიონში; 29. ხის ჯიში; 30. ველოსიპედისტთა შეჯიბრის ადგილი; 31. ყაზახი პოეტი; 32. ადგილი ივრის ხეობაში, სადაც შენდება დიდი წყალსაცავი; 34. საბჭოთა მწერალი, ისტორიული რომანების ავტორი; 37. მიბაძვა, ანუ; 38. მოცეკვავე ქალი; 40. მდინარე საბჭოთა კავშირში.

ვერტიკალურად: 1. ხმელეთში შეჭრილი ზღვის ნაწილი; 2. ნაპოლეონის და რუსეთის აომების ბრძოლა; 3. ადამიანის სხეულის ნაწილი; 4. ერთ-ერთ; 5. ინგლისური ზომის ერთეული; 6. ღირებულება, ანუ?; 7. მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმის შესახებ; 10. ცალკეული ეპიზოდი კინოსურათიდან; 14. სამრეწველო ოლქი პოლონეთში; 15. დიდი ქართველი გეოგრაფი; 16. თევზის ჯიში; 17. ძილის მომგვრელი წამალი; 18. მდინარე გერმანიაში; 20. კვერცხისებრი ფორმის მოხაზულობა; 25. ფიზიკის დარგი; 26. ქალაქი ვიეტნამში; 27. ხელოვნების ერთერთი დარგი; 32. რკინიგზის სადგური დასავლეთ საქართველოში; 33. უბანი ძველ თბილისში, 35. საზეიმო, გამამხნევებელი შეძახილი; 36. ბოჭკოვანი მცენარე; 39. პატარა, ანუ?

მოხერხებული პიონერები

მეზობელ ბანაკისაკენ მიმავალმა მანანამ და ჯემალმა მანძილის შემოკლების მიზნით გზიდან გადაუხვიეს. მოულოდნელად სარწყავ არხს წააწყდნენ, გადახტომა შეუძლებელი იყო. არც დასველება უნდოდათ. ის იყო უკან დაბრუნებას აპირებდნენ, რომ იქვე ახლოს ფიცრის ორი ნაჭერი შენიშნეს.

— აი ჩვენი ხიდიც! — წამოიძახა სიხარულით ჯემალმა. მაგრამ სიხარული ნაადრევი იყო, რადგან ორივე ფიცარი ზუსტად არხის სიგანისა აღმოჩნდა. გამოსავალს მაინც მიაგნეს, ხიდი მოაწყეს და გზაც განაგრძეს.

როგორ მოიქცნენ პიონერები?

ვ. ნიკოლაიშვილი

პასუხები

„პიონერის“ № 2-ში მოთავსებულ გასართობზე:

პასუხი კროსვორდზე:

ჰორიზონტალურად: 3. რემა: 6. რამი; 8. რილეევი; 10. ატამი: 11. ადამი; 12. სიფრიფანა; 15. ირანი: 19. ურანი: 21. ვისკოზი; 22. მიუნხენი; 23. ობელისკი; 25. სტიმული; 26. ფინია: 27. იტრია; 32. ნაპოლეონი; 34. ავიზო; 35. ალიზი; 36. სერვიზი; 37. ნენი; 38. აზია.

ვერტიკალურად: 1. ირემი; 2. მინდი; 4. არმია; 5. ბელინსკი; 6. რიონი; 7. ატენი; 9. „იმერი“; 13. ინდონეზია; 14. ბრილიანტი; 16. რაციონი; 17. სიენიტი; 18. „იზაბელა“; 20. ნანკინი; 24. სმისლოვი; 26. ფესვი; 28. ავაზა; 29. „დაისი“; 30. უნცია: 31. ოზონი: 32. ალტაი.

პასუხი თავსატეხზე „დაყოფის საშუალებით“

პოპოვი: რადიო.



პასუხი „სახუმარო გამოცანაზე“

დედა.



ერთი გასროლით ორი კურდღელი